ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 227 (18769) ᲙᲕᲘᲠᲐ, 2 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 1983 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

Ე. Ა. ᲨᲕᲔᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲣᲜᲓᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲡ

1 **ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ მიიღო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების დელეგაცია მისი თავმჯდომარის ა. აპროს მეთაურობით.

ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე გულთბილად და გულითადად მიესალმა სტუმრებს და ესაუბრა მათ იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება სკკპ XXVI ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებანი, რა წვლილი შეაქვთ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციისა და მშრომელებს ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მუშაობის სრულყოფაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. საქართველოს სს რესპუბლიკაში აგროსამრეწველო კომპლექსისა და ინდუსტრიის მართვის სფეროში განხორციელებულმა მთელმა რიგმა ექსპერიმენტებმა და სიახლეებმა მნიშვნელოვანი სტიმული მისცეს წარმოებას, ხელი შეუწყვეს რესპუბლიკის შემდგომ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში ყურადღებით სწავლობენ და იზიარებენ ბევრ რამეს იმ საქმიანი გამოცდილებიდან, რომელიც მომმე უნგრეთშია შეძენილი. გამოცდილების მუდმივ გაზიარებაში ჩაბმული არიან პარტიული მუშაკები, სახალხო მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერები. ქართველი და უნგრელი ხალხების ტრადიციულმა, მრავალსაუკუნოვანმა კულტურულ-ისტორიულმა ურთიერთობამ ახალი მდიდარი და შემოქმედებითი შინაარსი შეიძინა, სოციალისტური თანამეგობრობის ფარგლებში.

ა. აპრო მიესალმა რესპუბლიკის ხელმძღვანელებს იანოშ კადარის სახელით და მადლობა გადაიხადა იმ ყურადღებისათვის, რომელიც საქართველოში გამოიჩინეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების დელეგაციის მიმართ, ილაპარაკა საქართველოს სს რესპუბლიკის ცხოვრებისა და მიღწევების გაცნობით მიღებულ შთაბეჭდილებებზე. შემდეგ მან დაახასიათა უნგრეთის სოციალისტური განვითარების თანამედროვე პროცესი, მისი ეკონომიკის მაღალი დონე, შეეხო პერსპექტიულ სიახლეებს ქვეყნის სახალხო მეურნეობის მართვის სფეროში. მისი მიღწევები, ხაზი გაუსვა მან, განპირობებულია სოციალისტურ ქვეყნებთან, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან უნგრეთის მეგობრობითა და თანამშრომლობით. რაც შეეხება საქართველოსადმი უნგრელების ტრადიციულ ინტერესს, ოდინდელ მეგობრობას, ისინი ღრმავდება და მდიდრდება დღეს მრავალმხრივი საქმიანი და შემოქმედებითი კონტაქტებით.

ამხანაგმა ა. აპრომ თქვა, რომ მთელი უნგრელი ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, რომელიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაში.

საუბარს დაესწრნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ლ. ფლორენტიევი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ლ. მგალობლიშვილი და ო. ქაჯაია.

უნგრეთის მხრივ — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების დეპუტატები კ. კოვაჩი, შ. ჩერნა, ლ. მეზეი, მ. ვამოში, გ. მატიუში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი ტერიტორიული განყოფილების გამგე ი. ტოტი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე ო. სუროვსკი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში შ. რაინაი. (საქინფორმი).

ᲣᲜᲓᲠᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის ცხოვრების ეცნობა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების დელეგაცია, რომელიც სტუმრად არის აქ კრების თავმჯდომარის ა. აპროს მეთაურობით.

სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კომკავშირულმა ქალაქმა ბორის ძნელაძემ — რესპუბლიკის კომკავშირული და პიონერული აქტივის მზადება-გადამზადების ცენტრმა.

ამხანაგმა ა. აპრომ დაათვალიერა სახვითი ხელოვნების ცენტრის „ფიროსმანის“ ექსპონატები, კომკავშირული სკოლის სასწავლო შენობა.

საქართველოს აკკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ი. ჯიქურაშვილმა და ქალაქ ბორის ძნელაძის საბჭოს თავმჯდომარემ მ. ჭინტურიამ სტუმრებს გააცნეს ქართველ კომკავშირელთა ცხოვრება.

უნგრელმა პარლამენტარებმა ყვავილებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლის კვარცხლბეკი.

უნგრელმა პარლამენტარებმა იმოგზაურეს მცხეთაში, ეწვივნენ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავს“, მის მეთაურ საწარმოს-საქართველოს მიწათმოქმედების ინსტიტუტს. მათ დაათვალიერეს წილკნის ექსპერიმენტული მეურნეობა და საწარმოო უბნები.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავის“ გენერალურმა დირექტორმა, ინსტიტუტის დირექტორმა მ. ღვინჯილიამ სტუმრებს გააცნო ის დიდი მუშაობა, რომელიც აქ წარმოებს ახალი ჯიშების სამარცვლე და საკვები კულტურების გამოყვანისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგვისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სადილი გაუმართა უნგრეთის სახელმწიფო კრების დელეგაციას. სადილზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა და ამხანაგმა ა აპრომ სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

სადილად იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. გურგენიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრი ო. ქაჯაია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ლ. ფლორენტიევი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სხვა ოფიციალური პირნი.

• • •

1 ოქტომბერს უნგრელი სტუმრები განაგრძობდნენ რესპუბლიკის გაცნობას.

ამავე დღეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების დელეგაცია მოსკოვს გაფრინდა. თბილისის აეროპორტში სტუმრები გააცილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საქინფორმი).

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲡ — ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲫᲐᲜᲔᲑᲐ

ᲬᲧᲕᲔᲑᲐ ახალი სასწავლო წელი პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში.

გასულმა სასწავლო წელმა, როგორც ჩვენი დიდი ქვეყნის, ასევე რესპუბლიკის შრომელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის განუხრელი ზრდის ნიშნით ჩაიარა. ეს იყო ჩვენი მკლავშოუღლელი ადამიანების მარქსისტულ-ლენინური წრთობის თვალსაჩინო ეტაპიც. რესპუბლიკის კომუნისტები და უპარტიო შრომელი მასები, პრაქტიკულად ახორციელებენ რა პარტიის მითითებებს, ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, პარტიის კურსს, რომლის მიზანია წარმოების ინტენსიფიკაცია, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის დონის ამაღლება, მშვიდობის შენარჩუნება, ოერმული ომის თავიდან აცილება.

საბჭოთა ადამიანები კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ პარტიის მოწოდებას ყოველსაირად განვამტკიცოთ დისციპლინა და წესრიგი, ვიმუშაოთ უფრო ორგანიზებულად და ეფექტიანად, წარმატებით შევასრულოთ სკკპ XXVI ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის, 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა მიხედვით ამოცანა ასე დგას — იდეოლოგიური, აღმზრდელობითი, პროპაგანდისტული მუშაობა ავიყვანოთ იმ დიდი და რთული ამოცანების დონეზე, რომლებსაც პარტია წყვეტს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პროცესში.

უნდა შევცვალოთ პარტიული განათლების, მასობრივი პოლიტიკური სწავლების ქსელის მუშაობის სტილი, ყოველმხრივ უნდა განვავითაროთ მეცადინეობის აქტუალური ფორმები, მივანიჭოთ მას დიდი პრაქტიკული მიმართულება, აღმოვფხვრათ მედავითნეობა და ფორმალიზმი.

გასაკვირველი ბევრია, განსაკუთრებით ახლა, როცა ასე მკვეთრად უპირისპირდება ერმანეთს ორი პოლარულად საწინააღმდეგო მსოფლმხედველობა, ორი პოლიტიკური კურსი — სოციალიზმი და იმპერიალიზმი. მთელ პლანეტაზე მიმდინარეობს ბრძოლა მილიონობით ადამიანის გონებისა და გულის დასაპყრობად, და კაცობრიობის მომავალი ბევრად არის დამოკიდებული ამ იდეოლოგიური ბრძოლის შედეგზე. აქედან ნათელია, რაოდენ მნიშვნელოვანია შეგეძლოს გასაგები და დამაჯერებელი ფორმით გაუწიოთ პროპაგანდა ჩვენს სამშვიდობო პოლიტიკას. სწორედ ამიტომ მთელი სასწავლო წლის მანძილზე, პარტიული სწავლების სისტემაში მეცადინეობის დროს, უნდა ვითვალისწინებდეთ საერთაშორისო ვითარებას, მსოფლიო ასპარეზზე პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავებას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობას მშვიდობის შენარჩუნებისა და ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის.

დიახ, პროპაგანდისტი ჭეშმარიტად დიდი საქმისათვის არის მოწოდებული. მას პირველ რიგში ადამიანების დარაზმვის, გაყოლიების უნარი უნდა ჰქონდეს.

„ცხოვრება ბევრ ამოცანას აყენებს იდეოლოგიურ მუშაკთა წინაშე, — ითქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე,—მაგრამ ამ ამოცანებს შორის იყო და არის მეცნიერული, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის — ადამიანთა კომუნისტური აღზრდის საფუძვლის ჩამოყალიბება. სწორედ იგი გადააქცევს კომუნისტებს, მშრომელებს შეგნებულ პოლიტიკურ მებრძოლებად, რომლებსაც შესწევთ უნარი, დამოუკიდებლად შეაფასონ სოციალური მოვლენები, ხედავდნენ მიმდინარე ამოცანების კავშირს ჩვენს საბოლოო მიზნებთან, ეწვოდნენ დასაბუთებულ პოლემიკას ნებისმიერ იდეურ მოწინააღმდეგეებთან. პარტია შეუნელებელ ყურადღებას უთმობს იმას, რომ კომუნისტებს გამოუმუშაონ თეორიის მოთხოვნილება, მისდამი ინტერესი და გემოვნება. სწორედ ამას უნდა ემსახურებოდეს ჩვენი პარტიული სწავლების სისტემაც.“

წელს სკოლების სემინარებისა და უნივერსიტეტების სრულყოფილი დაკომპლექტებისათვის, მეცოდნე და უნარიანი პროპაგანდისტების შერჩევისათვის დიდი მუშაობა გასწიეს პარტიულმა კომიტეტებმა, სწორედ მათი ასეთი დიდი პასუხისმგებლობის წყალობით დღეს რესპუბლიკაში პროპაგანდისტად მუშაობას შეუდგება ათასობით ხელმძღვანელი მუშაკი, რომლებსაც აქვთ დიდი თეორიულ-პრაქტიკული ცოდნა, უნარი შესწევთ კონტაქტი დაამყარონ მშრომელებთან.

რესპუბლიკაში წელს ძალზე ბევრი რამ გაკეთდა პროპაგანდისტთა მომზადებისათვის — შვიდ ზონაში მოეწყო ორკვირიანი კურსები, რომლებზეც თეორიული ცოდნა და მეთოდიკური ოსტატობა აიმაღლა ორი ათასზე მეტმა პროპაგანდისტმა, მათ მოემსახურება აგრეთვე პოლიტგანათლების რესპუბლიკურ სახლთან არსებული პროპაგანდისტთა მოკლევადიანი კურსები, ორატორულ ხელოვნებასა და პროპაგანდის ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების კაბინეტები. პროპაგანდისტების დიდი ღვაწლისა და ნაყოფიერი მუშაობის აღიარება იყო ის, რომ 84 პროპაგანდისტს საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის წოდება მიენიჭა, ხოლო პროპაგანდისტთა დიდი ჯგუფი დაჯილდოვდა საპატიო სიგელებითა და სამაგიდო მედლებით.

მარშან მოეწყო პროპაგანდისტთა ატესტაცია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე თებერვალის მიხედვით ჩვენს რესპუბლიკაში მოეწყო რეფერატების კონკურსი, რომელშიც 273 ათასზე მეტმა მსმენელმა მიიღო მონაწილეობა. დიდი ინტერესი გამოიწვია მეცნიერული კომუნიზმის იმ სკოლების დათვალიერებამ, რომლებიც სკკპ ისტორიულ გამოცდილებას შეისწავლიან.

ბევრი გვაკავს რესპუბლიკაში ადამიანი, რომლებიც მთელ ძალღონეს, ბოლშევიკურ მგზნებარებას ახმარენ პროპაგანდის საქმეს. პარტიას სწამს თავისი კადრებისა, დიდად აფასებს მათ კეთილშობილურ, თავდადებულ შრომას, იგი მხარს უჭერს მათს შემოქმედებითს ძალებს. სწორედ ამის მაგალითი იყო ის, რომ გასულ წელს „სსრკ 50 წლისთავის“ სახელობის საწარმოო გაერთიანების პროპაგანდისტის დ. ოკრუბელაშვილის გამოცდილება განხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ.

პროპაგანდისა და აგიტაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი კარდინალურ სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაჭრას. როცა ვლაპარაკობთ პარტიული სწავლების ეფექტიანობაზე, ცოდნის მრწამსად გადაქცევის სიკეთეზე, იმაზე, თუ რა საქმიანი, სასარგებლო შედეგები მოაქვს მსმენელთა და პროპაგანდისტთა უშუალო კონტაქტებსა და ურთიერთდამოკიდებულებას, გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მათ შორის 10 ათასამდე რაციონალიზატორი და გამომგონებელია, ხოლო 150 ათასზე მეტი კომუნისტური შრომის დამკვრელი. მათი რაციონალიზატორული წინადადებით შარშან სახელმწიფომ 55 მილიონ მანეთზე მეტი ეკონომიკური ეფექტი მიიღო.

გეგეჭრა, ახალი სასწავლო წელი მსმენელთა და პროპაგანდისტთა აქტიურობის წელი აქნება, ამის პირობა კი არსებობს, რადგან იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობის ამაღლებისათვის ყველაფერი გვაქვს, რაც საჭიროა. ეს არის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მქონე სოციალიზმის რეალური მონაპოვარი, ეს არის ჩვენი დიდი რევოლუციური მოძღვრება, კომუნისტური აღზრდის ქმედითი სისტემა და შეძენილი გამოცდილება, მძლავრი საინფორმაციო-პროპაგანდისტული აპარატი, კვალიფიციური, პარტიის საქმის ერთგული იდეოლოგიური კადრები.

ორგანიზებულად, მაღალიდეურ დონეზე იწყება ახალი სასწავლო წელი. კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო, და თუ ეს ასეა, მაშინ პირველი მეცადინეობები მთელი წლის მანძილზე ნაყოფიერი შრომისა და სწავლის სანინდარი უნდა გახდეს.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲖᲔᲘᲛᲝᲑᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების ღირსშესანიშნავი მოვლენა გახდა შემოქმედებითი „საამქროს“ ოსტატთა შეხვედრა. 1 ოქტომბერს კინოს სახლში თავი მოიყარეს რუსეთისა და საქართველოს მწერლებმა.

— მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, — თქვა შეხვედრის გახსნისას საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, ლენინური პრემიის ლაურეატმა ნ. დუმბაძემ, — არარის ორი ხალხის უანგარო მეგობრობის უფრო მნიშვნელოვანი მაგალითი, ასე რომ იყოს გაცისკროვნებული და განმტკიცებული პოეზიით. გასული საუკუნის რუსმა პოეტებმა აღმოაჩინეს საქართველო თავისი მკითხველისათვის და ამით—მსოფლიო ლიტერატურისათვის. ორსაუკუნოვანი ესტაფეტა პოეტებისა და მწერლების თაობებისა, რომელთა შემოქმედებაშიც საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უკავია, ცხადყოფს ჩვენი ხალხების, მათი კულტურების სულიერ ურთიერთლტოლვას, მას ღრმა ფესვები აქვს. საბჭოთა პირობებში ლიტერატურების ამ ნათესაობამ ლენინური ინტერნაციონალიზმის თანახმიერი ახალი აზრი შეიძინა.

ივივე აზრი განავითარა შეხვედრაზე გამოსულმა სოციალისტური შრომის გმირმა, ჟურნალ „მოსკვას“ მთავარმა რედაქტორმა მ. ალექსეევმა.

— სიტყვა, წოგნი ეს იმ ხიდების საშენი მასალაა, რომლებიც აერთიანებს ადამიანებისა და ხალხების გულებს, — თქვა მან.

ამ შეხვედრის ყოველი მონაწილე კითხულობდა საუკეთესო, სანუკვარ ლექსს და ყალიბდებოდა რუსულ-ქართული პოეზიის ბრწყინვალე ანთოლოგია. მ. დუდინი და ვ. სოლოუხინი, შ. ნიშნიანიძე და ნ. დორიზო, ვ. კოსტროვი და რ. ამაშუკელი, მ. შევჩენკო და ნ. ღვინეფაძე, მ. ფოცხიშვილი და მ. ხეთაგური, ჯ. ჩარკვიანი და ა. ვოზნესენსკი კითხულობდნენ საკუთარ ლექსებს, მოძმე ლიტერატურების ნაწარმოებთა თარგმანებს.

— რა შეიძლება დაუმატო ამ შეხვედრაზე ნათქვამ სიტყვებს? — თქვა რუსეთის სფსრ დელეგაციის მეთაურმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ე. ჩახარინმა. — მადლობის სიტყვები ქვეყნისადმი, რომელმაც შთაგონა პოეტებს ამდენი შესანიშნავი სტრიქონი ადამიანის, მშობლიური მიწის სიყვარულზე, მეგობრობაზე.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲕ-4 ᲒᲕ.).



ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔᲠᲔ: ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ ლენინიანის კონცერტის ფინალი. Ф. ᲙᲐᲠᲘᲛᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲕᲐᲪᲘᲚᲝᲗ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲡ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ!

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲝᲛᲘᲡᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜ, მოსკოველები, მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს იმ გეგმების წინააღმდეგ, რომ ახალი ბირთვული რაკეტები განალაგონ ევროპაში.

მათი განხორციელება მკვეთრად გაზრდის ბირთვულ საფრთხეს მთელი ევროპის — როგორც დასავლეთი, ისე აღმოსავლეთ ევროპის, ხალხებისათვის. ევროპის ტერიტორიაზე დაწყებული ბირთვული კონფლიქტი გასცდება მის საზღვრებს და არ დაინდობს არც ამერიკელ ხალხს, არც სხვა კონტინენტებზე მცხოვრებ ხალხებს.

უნდა აღიკვეთოს ეს საფრთხე, სანამ გვიან არ არის!

ამიტომ მთლიანად ვიზიარებთ მსოფლიო ომისსაწინააღმდეგო მოძრაობის მოთხოვნას: **არ გვინდა ბირთვული იარაღი ევროპაში!**

დასავლეთი მზად არ არის ასეთი რადიკალური გადაწყვეტისათვის. ჩვენ კი კვლავაც ვიღვაწებთ ამ მიზნისათვის, ამიტომ ახლავე მოვითხოვთ:

არავიდარი საშუალო სიშორის ახალი ბირთვული იარაღი ევროპაში! შემცირდეს არსებული არსენალები!

ჩვენ მომხრე ვართ უბრალო და ნათელი პრინციპისა — ყველასათვის თანაბარი უშიშროება! არავითარი განსხვავება არ არის ამერიკულ, ინგლისურ ან ფრანგულ რაკეტებს შორის, თუ ისინი დამიზნებულია და შეიძლება თავს დაატყდეს სსრ კავშირსა და მის მოკავშირეებს. ჩვენი ხელშეუვალი უფლებაა დაცული ვიყოთ რომელიმე მათგანისაგან! თუ ამერიკის შეერთებული შტატები და ნატო მაინც დაიწყებენ ახალი რაკეტების განლაგებას, საბჭოთა მთავრობამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა განახორციელოს ეფექტიანი კონტრღონისძიებანი.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ კურსს, რომლის მიზანია გამალებული შეიარაღების ალაგმვა და განიარაღება. ჩვენი ხალხის სწრაფვა მშვიდობისადმი გამოხატულია საბჭოთა კავშირის კონკრეტული სამშვიდობო ინიციატივებით, რომლებიც იძლევიან ენენვის მოლაპარაკებაზე პატიოსანი მორიგების მიღწევის შესაძლებლობას. კიდევ დარჩა შანსი, რომ ასეთი მორიგების გზით არ დაუშვათ ევროპაში ახალი რაკეტების განლაგება. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა რეალურად ვაქციოთ ეს შესაძლებლობა.

ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ ყველას, ვინც ამ დღეებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე ილაშქრებს ევროპასა და მთელ მსოფლიოში ბირთვული შეიარაღების შემდგომი გაძლიერების წინააღმდეგ, მოითხოვს გაყინონ და დაუყოვნებლივ შეუდგნენ მის შემცირებას. როგორც კიდევ ერთხელ დაადასტურა თავის განცხადებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ვ. ანდროპოვმა, „ჩვენი ხალხის კეთილდღეობას, საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროებას ჩვენ არ გამოვყოფთ, და, მით უმეტეს, არ ვუპირისპირებთ სხვა ხალხების, სხვა ქვეყნების კეთილდღეობასა და უშიშროებას“.

მეგობრულ ხელს ვუწვდით ყველას, ვინც, პოლიტიკური, რელიგიური თუ ეთიკური მრწამსის მიუხედავად, მზად არის ერობლივი მეცადინეობისათვის ამ მიზნების მისაღწევად. ბირთვული განგაშის ნაღარა მოქმედებისათვის გვიხმობს!

შევაჩეროთ ბირთვული საფრთხე!

ერთად შეგვიძლია და კიდევაც უნდა გავაკეთოთ ეს!

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 1983 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ.

800 ᲐᲗᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲝᲛᲘᲡᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲯᲔᲠ დილის ნამიც არ გამშრალიყო ალისფერ ყვავილებზე, რომლებითაც შეემკოთ ვ. ი. ლენინის ძეგლი კრემლში, უცნობი ჯარისკაცის საფლავის გრანიტის ფილები, ომში დაღუპულ მეომართა მემორიალები და ობელისკები, რომ მოსკოვის ქუჩებზე ოქტომბერს გამოეფინენ მუშები და ინჟინრები, მწერლები და მეცნიერები, სტუდენტები და მოსწავლეები. გმირი ქალაქი, მშრომელი ქალაქი ათიათასობით მოსკოველთა კოლონებად გამოვიდა ომისსაწინააღმდეგო მანიფესტაციაზე.

მანიფესტაციის მონაწილეებს მოაქვთ მრავალრიცხოვანი ტრანსპარანტები: „არ გვინდა ახალი რაკეტები ევროპაში!“, „მოვითხოვთ საყოველთაო და სრულ განიარაღებას!“, „განვაზორციელებთ საბჭოთა სამშვიდობო პროგრამას!“... ერთ-ერთ მონაწილეს ხელში უჭირავს თვითნაკეთი პლაკატი— მუყაოს ნაჭერზე გამოსახული ატომური ბომბის სილუეტი ჯვარედინადაა გადახაზული. მოსწავლეებს მოაქვთ შშვიდობის ტრეფდის გამოსახულება. ახალგაზრდების ჯგუფი ხმამაღლა ერთხმად გაიძახის: „არ დავანებებთ მსოფლიოს აფეთქებას!“

...სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა ჯამოფეა. აქ მიტინგის გახსნისას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ ა. პ. შიტიკოვმა თქვა:

— ამ დღეებში ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის ათასობით მშრომელმა, რომლებიც გაერთიანებული არიან ერთი მისწრაფებით — დაიცვან მშვიდობა პლანეტაზე, აღკვეთონ ბირთვული ომის საფრთხე, პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, მშვიდობის დაცვის კომიტეტს, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოთა კომიტეტს მიმართეს წინადადებით მასობრივი ომისსაწინააღმდეგო მანიფესტაციის მოწყობის შესახებ.

როგორც იცით, ევროპასა და მსოფლიოში ბოლო ხანს მკვეთრად გამწვავდა საერთაშორისო ვითარება. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა თავის განცხადებაში, მილიტარისტული კურსი, რომელსაც საერთაშორისო საქმეებში ადგას ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობას.

საბჭოთა ადამიანები დიდად არიან შეშფოთებული ამის გამო, თქვა შემდეგ ორატორმა. ჩვენ არ გვინდა მოვლენათა ისეთი განვითარება, რომელიც კიდევ უფრო გაამწვავებს დაძაბულობას. საბჭოთა კავშირი, როგორც ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა განაცხადა, კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა დაიცვას ქვეყანად მშვიდობა.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ მრისხანე პროტესტად გაისმა მოსკოვის სალი შენადნობების კომბინატის უფროსი მწნეხვის, სოციალისტური შრომის გმირის ნ. ა. სოკოლოვის, №291 სკოლის მასწავლებლის ი. ვ. ლეონოვას, მოსკოვის ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენსანი რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის რექტორის, პროფესორ ი. ვ. ბელოვის გამოსვლები.

შეერგბილნი ტაშით შეხვდნენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის რ. ჩანდრას გამოსვლას. მან აღნიშნა, რომ მშვიდობისმოყვარე ძალების მოძრაობა თანამედროვეობის მძლავრი ფაქტორი გახდა. ყველა კონტინენტის მილიონობით ადამიანი, ილაშქრებს რა გამალებული ბირთვული შეიარაღების წინააღმდეგ, და მოითხოვს მშვიდობასა და დაძაბულობის შენელებას, ამით ცხადყოფს მტკიცე გადაწყვეტილებას იცხოვრონ და იშრომონ პლანეტის მშვიდობიანი ცის ქვეშ. რ. ჩანდრამ აღნიშნა საბჭოთა კავშირის უდიდესი წვლილი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილების საქმეში.

ა. მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გამართულ მიტინგზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ვ. ტერეშკოვა, რომელმაც თქვა, რომ ვაშინგტონის მილიტარისტული კურსი არ

მიმართვა მსოფლიოს მწერლებს

მეოთხედი საუკუნის წინათ აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან სსრ კავშირში ჩამოსულმა მწერლებმა ტაშკენტის ძველ მიწაზე გამოაცხადეს, რომ სწამთ იდეალები, რომლებიც ყველა დროში შთაგაგონებდა მხატვრულ ღირებულებათა შემქმნელებს, ჰუმანიზმის, სოციალური სამართლიანობის, მშვენიერების, მშვიდობისა და პროგრესის იდეალები.

აზიისა და აფრიკის მწერალთა მოძრაობის ისტორია განვლილი 25 წლის მანძილზე — ეს არის — მნიშვნელოვანწილად ორი კონტინენტის ხალხთა ისტორია; ეროვნული სუვერენიტეტისათვის, პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის, სოციალური განთავისუფლებისა და კულტურული აღორძინებისათვის მათი გმირული ბრძოლის ისტორია. აზიისა და აფრიკის მწერალთა მოძრაობა დროით შემოწმდა, გაიზარდა და განმტკიცდა.

თავიანთი შემოქმედებით თანამედროვეობის პროგრესული მწერლები შთაგონებენ ხალხებს გადამწყვეტი ბრძოლისათვის ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმისა და მისი მოკავშირეების პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლებიც დაძაბულობისა და პროვოკაციის კერებს ქმნიან მსოფლიოს ყველა რაიონში — აზიისა და აფრიკაში, ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ ამერიკაში.

პალესტინის განთავისუფლების მოძრაობის მეთაურობით ვმრჩი პალესტინელი ხალხი იბრძვის ისრაელი აგრესორის წინააღმდეგ თავისი სამშობლოსათვის; მძიმე ბრძოლას ეწევიან სამხრეთ აფრიკის ხალხები კოლონიალიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ; სიხსნი იღვრება ლიბანის მრავალტანჯულ მიწაზე, რომელიც იცავს თავის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს; ამერიკის იმპერიალიზმის მიზეზით გათიშულია კორეა, რომელიც უნდა გაერთიანდეს მშვიდობიანი გზით დემოკრატიისა და თვითგამორკვევის საფუძველზე; არ წყდება ერაყისა და ირანის ომი, რომელიც გამანადგურებელია ორივე ქვეყნისათვის. მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში მილიონობით ადამიანი იბრძვის ადამიანური უფლებებისა და ღირსებისათვის. ისინი ყველანი მოგიწოდებენ თქვენ, მსოფლიოს მწერლებს, ხმა აღიმაღლოთ დამცირებულთა და დაჩაგრულთა მხარდასაჭერად, მებრძოლი ხალხების დასახმარებლად მათი განთავისუფლების წმიდათაწმიდა საქმეში!

ჩვენ მეტისმეტად შეშფოთებული ვართ იმის გამო, რომ თავისი აგრესიული მიზნების მისაღწევად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გააჩაღა არნახული მასშტაბის გამალებული შეიარაღება, ქმნის ახალი სისტემების ბირთვული იარაღს, რითაც ქვეყნად მშვიდობა და კაცობრობის ცივილიზაცია კატასტროფის პირას მიჰყავს.

დღეს განსაკუთრებით იზრდება მწერალთა პასუხისმგებლობა მშვიდობის ბედისათვის. დედამიწის ხალხები უკეთესი ხვედრის ღირსნი არიან, ვიდრე განადგურდნენ ბირთვული ხანძრით. დარწმუნებული ვართ, რომ გამალებულ შეიარაღებას შეიძლება და კიდევაც უნდა მოეღოს ბოლო.

აქ, საბჭოთა მიწა-წყალზე, ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით საბჭოთა ხალხის მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებათა გულწრფელობაში, რომელთა მიზანია დაძაბულობის შენელება, გამალებული შეიარაღების ალაგმვა, სხვადასხვა ქვეყნის ხალხების თანამშრომლობის განმტკიცება და გაფართოება.

სიცოცხლე და ყოველივე, რაც მასთანაა დაკავშირებული: დრო და სივრცე, მზე და მთვარე, გაზაფხული და ყვავილები, ლიტერატურა და ხელოვნება — ყოველივე, რასაც ვაფასებთ და რასაც ვუფრთხილდებით, მოგიწოდებთ თქვენ, მსოფლიოს მწერლებს, ხმა აღიმაღლოთ და მთელი ენერგია მოახმაროთ იმას, რომ პლანეტა დედამიწას თავიდან ასცილდეს ხაზარელი საფრთხე.

მწერლები უნდა მონაწილეობდნენ ხალხებს შორის მტრობისა და სიძულვილის ცეცხლის ჩაქრობაში, განამტკიცებდნენ მეზობლებს შორის კეთილი ნების ურთიერთობას.

ჩვენ ხმას ვიმაღლებთ პროგრესული მწერლების, ხალოგადო მოღვაწეების, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლთა მხარდასაჭერად, რომელთა წინააღმდეგაც ფაშიკურ და სულიერ რეპრესიებს მიმართავენ რეაქციის და ანტიხალხური რეჟიმების შავბნელი ძალები — იმპერიალიზმის დამჭაბები.

ჩვენ, თქვენი თანამოკალმენი, აზიის, აფრიკისა და სხვა კონტინენტის მწერლები, რომლებიც შევიკრიბეთ ქალაქ ტაშკენტში, მოგიწოდებთ მსოფლიოს მწერლებს, გაერთიანოთ ძალები თერმობირთვული ომის საფრთხის წინააღმდეგ, იმპერიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დაე ჩვენს პლანეტაზე მშვიდობამ და გონიერებამ იზეიმოს!

ორგანიზებულად, მაღალიდეურ დონეზე

უპირველესი მოვალეობა

ბევრი რამ კეთდება თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემაში ახალი სასწავლო წელის დაწყებისთვისაც კარგად მოვემზადეთ. გვინდა სასწავლო წელი დაიწყოს ისე, რომ იგი აკმაყოფილებდეს იმ დიდ მოთხოვნას, რომელიც აღნიშნულმა პლენუმმა წაუყენა შრომითს კოლექტივებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება გასული სასწავლო წლის დამთავრებისთანავე დაიწყო. საბოლოოდ დაზუსტებული და შედგენილია პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების, სკოლების, წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა სიები. მზადების პროცესში ვიყენებდით გასულ სასწავლო წელს შეძენილ დადებითს გამოცდილებას.

ორი წელია კომბინატის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სკოლებს შორის საუკეთესო პროპაგანდისტის გამოსავლენად მმდინარეობს დათვალიერება-კონკურსი. შევიმუშავეთ და პარტიული კომიტეტის სხდომაზე დავამტკიცეთ დებულება-კრიტერიუმი, რომლის მიხედვით მოწმდება: მსმენელთა თეორიული მომზადება; მსმენელთა დონე, საგეგმო დავალებათა შესრულება, მათი შრომითი საქმიანობის ხარისხი და დისციპლინის დონე. აგრეთვე დიდი ყურადღება ექცევა იმას, თუ როგორ მონაწილეობენ მსმენელები რაციონალიზატორულ მუშაობაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში, სპორტულ, კულტმასობრივ ღონისძიებებში.

შემოღებული გვაქვს დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებული პროპაგანდისტის მორალური და მატერიალური წახალისების ფორმები. პირველ ადგილზე გამოსულ პროპაგანდისტებს გადმოეწევათ საცხოვრებელი ბინის რიგი, ურიგოდ ეძლევათ მსუბუქი ავტომანქანა ან გადაეცემათ ფასიანი საჩუქარი. მეორე ადგილზე გამოსული პროპაგანდისტები ჯილდოდებიან საზღვარგარეთის უფასო ტურისტული საგზურებით, ხოლო მესამე ადგილზე გამოსულნი — თითო თვის ხელფასით. მოწინავე მსმენელთა ჯგუფები მოგზაურობენ საბჭოთა კავშირის ქალაქებში, ათვალიერებენ მათს ღირსშესანიშნაობებს.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადებისას გავითვალისწინეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე გამოთქმული აზრი ბრიგადული ფორმით მომუშავე საწარმოებში სკოლების ბრიგადების მიხედვით დაკომპლექტების თაობაზე. მაგალითად, მაუდის ნართის წარმოებაში ბრიგადული ფორმით მომუშავე საწარმოო რგოლებისაგან 10 ბრიგადა-სკოლა შეიქმნა. სულ სწავლებაში ჩაბმული ათას ორას სამოცდათხუთმეტი კაცი. პარტიული სწავლების სისტემაში მოქმედებს ორი მეცნიერული კომუნიზმის, ერთი ახალგაზრდა კომუნისტთა, შვიდი მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლა, ერთი დამოუკიდებელი, ორი ინდივიდუალური, რომლებშიც ჩაბმულია 453 კაცი.

ეკონომიკური სწავლების 7 სკოლაში 139 კაცია გაერთიანებული, კომუნისტური შრომის 12 სკოლაში — 193 კაცი. გვაქვს ალკ სწავლების 21 სკოლა, რომელშიც გაერთიანებულია 490 კაცი.

უმაღლესი განათლების მსმენელებით დაკომპლექტებული 2 ჯგუფი შეისწავლის საგანს—„მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების გზები“, ხოლო საშუალო განათლების მსმენელებით დაკომპლექტებული ჯგუფები — საგანს — „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და წარმოების ეფექტიანობა“.

პირველი მეცადინეობა ჩატარდება თემაზე — „საბჭოთა ადამიანების მაღალი შეგნება, დისციპლინა და ორგანიზებულობა 1983 წლის გეგმისა და მთლიანად ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების საწინდარია.“

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების დროს ყურადღება მიეკაციეთ იდეოლოგიური კადრების, უპირველეს ყოვლისა, პროპაგანდისტთა შემადგენლობის დადახალისებას, მათ გულდასმით შერჩევას. უწინარესად, პროპაგანდისტებად შევარჩიეთ ხელმძღვანელი ამხანაგები: კომბინატის დირექტორი თ. ტეტუნაშვილი, მთავარი ინჟინერი ა. ნასიძე, დირექტორის მოადგილე გ. ქოჩლაძე, მთავარი ეკონომისტი ვ. ლომიტაშვილი და სხვები. პროპაგანდისტთა შერჩევისას ვიხელმძღვანელეთ მსმენელთა სურვილით. პროპაგანდისტთა ასეთი შემადგენლობით, ვფიქრობთ, მეცადინეობებს ექნება არა ვიწროსაგანმანათლებლო, არამედ სამეცნიერო-პრაქტიკული, იდეურ-აღმზრდელობითი შინაარსი, თითოეული მსმენელი კარგად განსაზღვრავს თავის ადგილს საწარმოში, იმ როლს, რომელიც აკისრია შრომითი წარმატებების მოპოვებაში.

წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კომბინატის პროპაგანდისტული კადრები, ეს კი პროპაგანდისტთა მატერიალური და მორალური წახალისების სისტემის სრულყოფის შედეგია.

გასულ სასწავლო წელს მივაღწიეთ იმას, რომ პროპაგანდისტებს ბ. კვესელავას, გ. გელაშვილს, ვ. შარაშიძეს, ნ. ნებიერიძეს და სხვებს არ ჰყოლიათ არც ერთი გამომუშავების ნორმის არშემსრულებელი, წუნიანი პროდუქციის გამომშვები, უდისციპლინო მსმენელი.

პროპაგანდისტები მსმენელებს აქტიურად ეხმარებოდნენ ინდივიდუალური გეგმების შედგენაში. მეცადინეობაზე ყოველი თეორიული საკითხის გაშუქება მჭიდროდ უკავშირდებოდა შრომითი კოლექტივის წინაშე მდგომ ამოცანებს. მსმენელებს საშუალება ეძლეოდათ მეცადინეობებზე ელაპარაკათ მათთვის საინტერესო ყველა მტკივნეულ საკითხზე.

პარტიულმა კომიტეტმა, საამქრო პარტიულმა ორგანიზაციებმა ახალი სასწავლო წლის ორგანიზებული დაწყების მიზნით მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა. კერძოდ, მოეწყო თათბირსემინარი, პროპაგანდისტებს მიეცათ საჭირო რეკომენდაციები. ამ დღეებში გაიმართა მეთოდიკური საბჭოს სხდომები, პარტიული კომიტეტის სხდომაზე მოვიხილენთ საკითხს, რომელიც ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულ დაწყებას შეეხება. კომბინატის ბიბლიოთეკაში პროპაგანდისტთა დასახმარებლად მოეწყო სპეციალური კუთხე, მზად გვაქვს სამედიცინო ოთახები საჭირო თვალსაჩინო მასალებით.

კომბინატის პარტიული ორგანიზაცია სასწავლო წლის დაწყებისთანავე პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების პროპაგანდისტებისაგან მოითხოვს დაეხმარონ კომბინატის შრომითს კოლექტივს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, შრომის ნაყოფიერების ზრდაში, ახალი სწარმოო სიმძლავრეების სწრაფ ამოქმედებასა და არსებულ სიმძლავრეთა უკეთ გამოყენებაში, მთელი რეზერვების ამოქმედებაში, რომ კიდევ უფრო გადიდდეს პროდუქციის გამოშვება, გაუმჯობესდეს მისი ხარისხი, სისტემატურად შემცირდეს მატერიალური და შრომითი დანახარჯები.

როგორც ცნობილია, პარტიის მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მიზანია მშრომელთა ფართო მასებისათვის კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩანერგვა, მათი აღზრდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების სულისკვეთებით, ახალი ადამიანის ჩამოყალიბება. ამ ამოცანის გადაწყვეტაში პოლიტიკურ და ეკონომიკურ სწავლებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, მისი საშუალებით შრომელებმა არა მარტო უნდა აითვისონ მეცნიერული კომუნიზმის თეორია, პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი, არამედ მიღებული ცოდნა უნარიანად გამოიყენონ პრაქტიკაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, გადააქციონ იგი საკუთარ რწმენად.

პარტიული ორგანიზაციის უპირველეს მოვალეობად მიგვაჩნია შეუნელებლად ვზრუნავდეთ პროპაგანდისტთა თეორიული და პროფესიული სწავლების გაუმჯობესებისათვის, მათი გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებისათვის. ამ მიზნით კვლავაც გავაძლიერებთ პრაქტიკაში შემოღებული სემინარების აქტიურ ფორმებს, ფართოდ ჩავაბამთ ყველა პროპაგანდისტს პოლიტიკური განათლების სახლისა და პარტიის რაიონული კომიტეტის მიერ პროპაგანდისტთა დასახმარებლად მოწყობილ სხვადასხვა ღონისძიებაში.

კომბინატის პარტიული ორგანიზაცია მზრუნველობას არ მოაკლებს სასწავლო წლის მანძილზე პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების ტალანტებს. ამ მიზნით ორივე ჯგუფს ეფექტიანი ინფორმაციის საშუალებათა სამმხრივი ბირთვული ინფორმაციის საშუალებათა ინფორმაციის საშუალებათა ინფორმაციის საშუალებათა

სურათზე: წლის საუკეთესო პედაგოგის წოდება მიენიჭა თბილისის 68-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს გუგული ქერქაძეს

ს. კილაძის ფოტო.

სიყვარული სიყვარულის წილ

— ვინ არის თქვენი იდეალი ცხოვრებაში, ვინ მიგაჩნდათ ავტორიტეტად? — შეეკითხე ერთერი პარტიულ მუშაკს საუბრისას, რომელიც ეხებოდა ადამიანისა და საზოგადოების დამოკიდებულებას, ცხოვრებისეულ ზნეობრივ პრინციპებს.

— ჩემი ძმის მასწავლებელი, ლავრენტი გობეჩია,— მიპასუხა.

— თქვენც ხომ არ გასწავლიდათ?

—ჩვენს სოფელსა და მთელ რაიონს ასწავლიდაო. და განაგრძო: ...იმ დღეს თავსხმა წვიმა მოვიდა ჩხოროწყუში. მდინარე ხობის წყალი წასალეკად ემუქრებოდა მის ორივე მხარეს კოხტად გაწყობილ მრავალ ეზო-კარს. საღამო და შუაღამეც გადავიდა. ბორგავდა ადიდებული მდინარე და პირგამეხებული ცაც არ აპირებდა დოოკებას. იცოდა პედაგოგმა ლავრენტი გობეჩიამ პატარა ბინდის ხიდები ვერ გაუძლებდა გაავებულ სტიქიას, მდინარის მეორე ნაპირზე მდებარე სკოლა სოფელს მოწყვეტილი აღმოჩნდებოდა. იმ დროს ჩხოროწყუს საშუალო სკოლაში ახლომახლო სოფლებიდანაც დადიოდნენ ბავშვები.

ხვალ დილით პირველი გაკვეთილი ჰქონდა, მთელი ღამე ძილი არ მიჰკარებია მის თვალებს. რემდენჯერ მივიდა ფანჯარასთან, გამოდარებას პირი არ უჩანდა. უცბად რაღაც გადაწყვიტა, ადგა, საჩქაროდ ჩააწყო ჩანთაში წიგნები, რვეულები, გამოსაცვლელი ტანსაცმელი და აქედან საკმაოდ დაშორებულ სოფელ მუხურს მიაშურა. იქ, რკინის ხიდზე თავისუფლად შეიძლებოდა გადასვლა, უკან, ჩხოროწყუში მობრუნება და სკოლამდე როგორმე მიღწევა.

მაშინ ლავრენტი გობეჩიას მხრები 75 წლით იყო დამძიმებული.

მთელი ღამე და დილა ცას პირი არ შეუკრავს, მდინარე არ დაბრუნებია თავის კალაპოტს. მთელი ღამე და დილა მუხლამდე ტალახში ჩაფლული შარას ადგა ამაგდარი სოფლის მასწავლებელი.

ცხრას ხუთი წუთი აკლდა. სუფთად ჩაცმული ლავრენტი გობეჩია სამასწავლებლოში შევიდა, კლასის ჟურნალი აიღო და ზარიც აწკრიალდა.

დაიწყო საყვარელი მასწავლებლის გაკვეთილი. მაგრამ ამ დღეს ლავრენტი გობეჩიამ ჩაატარა უკლებლივ ყველასათვის კიდევ ერთი დიდი გაკვეთილი.

ვის წინაშე აგებდა პასუხს პედაგოგი გობეჩია გაკვეთილზე დაგვიანებისათვის, როცა უამინდობის გამო სკოლასთან მისვლა შეუძლებელი იყო?

— მოსწავლეებს, დირექტორის თუ პედკოლეკტივის წინაშე?

მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი და ყველაზე დიდი მსაჯულის სინდის-ნამუსის წინაშე.

დღეს იგი ცოცხალი აღარ არის. სიყვარულის წილ სიყვარული მიუზღო მადლიერმა ხალხმა და ჩხოროწყუში ერთ-ერთ მთავარ ქუჩას ლავრენტი გობეჩიას სახელი მიაკუთვნა. ამ ქუჩის განიერ მკერდზე ლაღად დადიან ახლა ადამიანები, რომელთა გულებში სინდის-ნამუსის ჩაუქრობელ ლამპრად ანთია სოფლის მასწავლებლის ლამაზი ცხოვრება.

თინა ზარგინავა.

ცხოვრების გაკვეთილი

გორის რაიონის ხიდისთავის № 15 სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებელმა მოსწავლეთა ახალი ნაკადი მიიღო. პირველი სექტემბრის საზეიმო დილაზე მოსწავლეებს ბეჯითი სწავლისა და შრომისაკენ გზა დაულოცა გორგი ცერცვაძემ, ამ სასწავლებლის აღზრდილმა, დღეს უკვე საკვეყნოდ ცნობილმა მექანიზატორმა — ზეიდულეთის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა.

— თქვენ აქ მიწის, შრომის მეცნიერებას ეზიარებით, — მიმართა მან შეკრებილთ, — სოფელი, ქვეყანა თქვენგან მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს — ფართო პროფილის მექანიზატორებს, ელექტრიკოსებს, ზეინკლებს, მელიორატორებს ელის. სწავლეთ ბეჯითად და მონდომებით; ვინძლო არ შეარცხვინოთ ჩვენი მშობლიური სასწავლებელი, მისი აღმზრდელები, ოსტატ-დამრიგებლები.

ოსტატ-დამრიგებლები... ხიდისთავის პროფტექნიკური მარტოოდენ მძლავრი სასწავლო-აღმზრდელობითი კომპლექსი როდია, ეს, უწინარესად, განათლებული, თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე პედაგოგიური კოლექტივი.

ვალიკო გოგიჩაშვილმა, ხიდისთავის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატმა, თავისი შრომითი ბიოგრაფია ამ სასწავლებელს დაუკავშირა, შემდეგ მექანიზაციის ტექნიკუმი დაამთავრა და კვლავ პროფტექნიკურს მიუბრუნდა, ამჯერად როგორც საწარმოო სწავლების ოსტატი. 14 წელია იგი მომავალ მექანიზატორებს ზრდის. მექანიზაცია ფართო პროფილია, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაუფლება კი რთული სასწავლო-შემეცნებითი პროცესი.

— ვალიკო გოგიჩაშვილის ჯგუფი — ამბობს პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი მაყვალა წკრიალაშვილი, — ჩვენი სასწავლებლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულია. მაღალი აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა მიერ პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამომჟღავნებული ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, შეგნებული დისციპლინა და წესრიგი, რითაც ეს ჯგუფი გამოირჩევა, უპირველესად საწარმოო სწავლების ოსტატის პროფესიულ ცოდნაზე, პედაგოგიურ ალღოსა და მომთხოვნელობაზე მიუთითებენ.

საწარმოო სწავლების ოსტატთან საუბარი საინტერესო აღმოჩნდა.

— რა დასამალია, და ზოგიერთ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, არცთუ იშვიათად, უხალისოდ მიდიან ახალგაზრდები და ამას ამა თუ იმ პროფესიის არაპოპულარობით ხსნიან.

—მე ვფიქრობ,—ამბობს ოსტატი,—ეს „არაპოპულარობა“ მინდვრებსა და ფერმებში ნაყოფიერ შრომაში ყმაწვილების გვიანი ჩაბმის, სუსტი პროფორიენტაციული მუშაობის ბრალია. მისი დაძლევა შეიძლება, თუკი სასწავლებლის, საბაზო მეურნეობებისა და განათლების ორგანოების ურთიერთდაინტერესებული თანამგობრობა სიერთ საქმის ინტერესების შესაბამისად წარიმართება.

და მართლაც, საწარმოო სწავლების ოსტატის მოსაზრების საღლუსტრაციოდ გამოდგებოდა ამ სასწავლებლისა და ტყვიავის კოლმეურნეობის ურთიერთობა. უკანასკნელ წლებში ამ კოლმეურნეობიდან პროფტექნიკურში ახალგაზრდები საგზურებით მოდიან, ამასთან იმ სპეციალობას ეუფლებიან, რომელიც ყველაზე მეტად სჭირდება კოლმეურნეობას. სწავლების დროს მოსწავლეებს დამატებით კოლმეურნეობის სტიპენდიაც ეძლევათ, კოლმეურნეობის გამგეობა და პარტიული კომიტეტი თვალყურს ადევნებენ, ინტერესდებიან თავიანთი წარგზავნილების სწავლისა და ყოფაცხოვრების პირობებით. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტები მშობლიურ კოლმეურნეობას უბრუნდებიან, აქ მათ გარანტირებული აქვთ სამუშაოდ ადგილი.

ბოლო წლებში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, სასწავლებლის კურსდამთავრებული კოლმეურნეობაში რომ არ დაბრუნებულიყოს.

დაუმატებთ იმასაც, რომ სასწავლებელსა და საზოგადოებრივ მეურნეობებს შორის ასეთი კავშირურთიერთობის ერთ-ერთი მოთავე და მოამაგე ხიდისთავის პროფტექნიკურ სასწავლებელში სხვებთან ერთად ვალიკო გოგიჩაშვილიც არის, პედაგოგი და აღმზრდელი, ჩინებული სპეციალისტი, სოფლის ხვალინდელი დღის გონიერი განმკვეთელი.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

● ●

სურათზე: ვ. გოგიჩაშვილი ატარებს მორიგ გაკვეთილს.

ა. ადამიშვილის ფოტო.

ბუჭივალში, პარიზთან ახლოს, 1882 წლის 31 ივლისს (ძვ. სტ.) სიცოცხლის დაისს მიახლოებულ ივანე ტურგენევთან სტუმრად მყოფი მ. სტასიულევიჩი იხსენებდა: „...იგი დაიხარა და საწერი მაგიდის გვერდით უჯრიდან პორტფელი გამოიღო, საიდანაც სხვადასხვა ზომისა და ფერის ფურცლებზე დაწერილი ნაგლეჯების დიდი გროვა მიჩვენა: „ეს ჩემი მასალებია, — მისგან რაღაც გამოვიდოდა, ხელი რომ მომეკიდა რაიმე დიდი სამუშაოსთვის...“.

მ. სტასიულევიჩის დაჟინებული თხოვნით, საფრანგეთში მცხოვრებ დიდ რუს მწერალს სამშობლოში გამოსაქვეყნებლად გადაუწერია მხოლოდ ზოგიერთი მათგანი (სულ 50-მდე), რომლებიც 1882 წლის დეკემბერში დაიბეჭდა პეტერბურგში, ჟურნალ „ვესტნიკ ევროპის“ (№ 12) ფურცლებზე სათაურით „ლექსები პროზით“. თხზულების დანარჩენი ნაწილის ხელნაწერები დიდხანს უცნობი იყო. მხოლოდ 1930 წელს ფრანგმა მეცნიერმა ანდრე მაზონმა გამოაქვეყნა კიდევ 31 „ლექსი პროზით“, რომელთა ტურგენევისეული შავი ჩანაწერები პოლინა ვიარდოს შთამომავლებთან აღმოჩნდა. მაშასადამე, ი. ტურგენევის აღნიშნული ციკლი შეიცავს 80-ზე მეტ ლექსს პროზად. ვარაუდობენ, რომ ნაწილი ამ ციკლისა დაკარგულია.

„ლექსები პროზით“ იწერებოდა მწერლის ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში—1877-82 წლებში.

ამ ციკლში აღძრულ თემათა რკალი ვრცელია — 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და მისი შედეგები, ალექსანდრე მეორის მკვლელობით გამოწვეული პოლიტიკური რეაქცია და ხალხსანთა რევოლუციური მოძრაობა, რუსი ხალხის ბედი, უბრალო რუსი გლეხის მომავლის რწმენა...

„ლექსები პროზით“ გამოირჩევა ღრმა ლირიზმით, თხრობის ემოციურობით, ფორმის სისხარტით, რაც მას აახლოებს ლირიკულ პოეზიასთან, ოღონდ, აქ ლირიკისაგან განსხვავებით, სუბიექტური განცდა პროზაული ფორმით არის გადმოცემული, ამასთან, ეპიკური ელემენტის — სიუჟეტის შესუსტებით გაძლიერებულია ემოციურ-ლირიკული შინაარსი, რაც მას აქცევს სრულიად ახალ ჟანრულ მოვლენად — ლექსს პროზად. ამიტომ არის, რომ ზემოჩამოთვლილ სოციალურ თემათა გვერდით აქ ძლიერ იჩენს თავს სიკვდილის, სიბერის შიშის მოტივი, თუმცა, იქვე გვხვდება განახლებული სიცოცხლის, ახალგაზრდობის, გამარჯვებული სიყვარულის თემაც.

როგორც ვთქვით, ი. ტურგენევის „ლექსები პროზით“ პირველად 1882 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა პეტერბურგში, ჟურნალ „„ვესტნიკ ევროპის“ № 12-ში.

გასაოცარი დამთხვევაა, მაგრამ ფაქტია, რომ ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 1883 წლის დეკემბერში, თბილისში, ილია ჭავჭავაძის ჟურნალ „ივერიის“ № 12-ში დაიბეჭდა ქართული თარგმანი: „ლექსი პროზითა“ თხზ. ტურგენევისა“ (გვ. 50-61) და სწორედ წლეულს უსრულდება 100 წელი ამ თარგმანს.

ქართულ თარგმანში შესულია ი. ტურგენევის დასახელებული ციკლის 7 ნაწარმოები: „ბაასი“, „ბებერი დედაკაცი“, „ძაღლი“, „მთხოვარა“, „გაიგონებ მსჯავრსა სულელისასა (პუშკინი)“, „სულელი“, „ბელურა“. თარგმანი ხელმოუწერელია, მაგრამ იგი რომ უეჭველად ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის, დასტურდება მწერლის სიცოცხლეში და მისი თვალმიდევნებით 1892 წელს გამოცემული ილია ჭავჭავაძის თხზულებათა III ტომით, რომელშიც ა. დოდეს, ლარას და სხვა თხზულებათა ილიასეული ქართული თარგმანების გვერდით შეტანილია „ლექსნი პროზითა“ ტურგენევისა“ (გვ. 203-219).

პროფესორ ვ. ნათაძის სიტყვით, „მართალია, ილიას წერილობით არ გამოუთქვამს შეხედულება ამ ნაწარმოებებზე, მაგრამ თვით თარგმნის ფაქტი მიგვითითებს, რომ იგი მოხიბლული იყო ამ მართლა შესანიშნავი ნაწარმოებებით (იხ. „ცისკარი“, 1968, № 12. გვ. 147).

სამწუხაროდ, ი. ტურგენევის ამ მეტად განმარუმტკიცი თხზულებების ილია ჭავჭავაძისეული პირველი ქართული თარგმანები 1892 წლის შემდეგ არ შესულა მწერლის არც ერთ გამოცემაში, მათ შორის, არც პ. ინგოროყვასეულ უკანასკნელ აკადემიურ გამოცემაში, რის გამოც იგი თითქმის უცნობია ჩვენი მკითხველი საზოგადოებრიობისათვის.

როგორც ჩანს, ჟურნალ „ვესტნიკ ევროპის“ 1882 წლის №12-ის პუბლიკაციიდან ილიას შეურჩევია 7 ნაწარმოები, თანაც ისეთები, რომლებიც ყველაზე მეტად ხვდებოდა მის სულსა და გულს, გარკვეულწილად ესადაგებოდა მის შემოქმედებითს პრინციპებსა და მისწრაფებებს.

საერთოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ამ დროისათვის (1882 წ.) ილია ჭავჭავაძეს მთარგმნელობითი მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა. მას უკვე ნათარგმნი აქვს როგორც ევროპელ (შექსპირი, ვ. სკოტი, შილერი, ბაირონი, პაინე, ა. შენიე, თ. მური, რიუკერტი), ისე რუს (პუშკინი, ლერმონტოვი) მწერალთა სხვადასხვა თხზულება. ასე რომ, არაფერია მოულოდნელი, ილია ჭავჭავაძე რუსეთის პირველხარისხოვანი მწერლის ამ უკანასკნელი მხატვრული ქმნილებით რომ დაინტერესებულიყო.

ი. ტურგენევის ციკლის ილია ჭავჭავაძისეულ ქართულ თარგმანებში პირველივე ნაწარმოების სათაური „ივერიის“ 1883 წლის პუბლიკაციაში თარგმნილია როგორც „ბაასი“, ხოლო 1892 წლის გამოცემაში შეცვლილია როგორც „მუსაიფი“. ილიას არ უთარგმნია ამ თხზულებისთვის ი. ტურგენევის მიერ რუსულ ორიგინალში წამძღვარებული ეპიგრაფი: „არც იუნგფრაუზე, არც ფინსტერნაარგორნზე ჯერ არ დადგმულა ადამიანის ფეხი“. ჩვენ არ ვიცით, ილიასთვის ცნობილი იყო თუ არა აქ დამვებული ანაქრონიზმი: 1878 წლისთვის, როდესაც იწერებოდა ეს სტრიქონები, ალპების ორივე ეს მწვერვალი ჯერ კიდევ 1811-12 წლებიდან ბევრჯერ იყო უკვე დაპყრობილი და შესაძლოა ილიამ თავის თარგმანში აღარ გაიმეორა ორიგინალის აღნიშნული ლაფსუსი. სხვა მხრივ, ილიასეული თარგმანი ზუსტად მისდევს ორიგინალს და მშვენივრად გვაგრძნობინებს ნაწარმოებში გატარებულ იდეას „საყოველთაო სიკვდილზე“, სიკვდილის გარდაუვალობაზე, კაცობრიობის დაღუპვის მარადიულ შიშზე, ბუნებასთან შედარებით ადამიანის უმწეობაზე.

მუსაიფი

ალპების მწვერვალე ბია... მთელი კედლებია ფრიალო კლდეებისა... თვით შუა გულია მთებისა. მთებს გადმოპფენია ციაგი, უსტეული, ნათელი ცა. ძლიერი, მწვავე სუსხია ყინვისა, თოვლიდამ ზოგან თავები ამოუყვია გაყინულს, ნაქარევს ნეტებს კლდეებისას.

ორი უზარმაზარი, ორი გოლიათი მთა ციის კალთებზე ორივე მხრივ ამართულა: ერთი იუნგფრაუ და მეორე ფინსტერნაარგორნი.

იუნგფრაუ ეუბნება თავის მეზობელს:

— რას იტყვი ახალს? შენ უფრო დაინახავ, რა ამბავია იქ, ქვეყეთ?

გადის რამდენიმე ათასი წელიწადი: ერთი წუთი აბა, გრგვინავს პასუხად ფინსტერნაარგორნი:

— მთლად ზედ წაპბურებია ღრუბელი დედამიწას. თვალი არა სჭრის... დაიცა პატარა!

გადის კვლავ ათასობით წელიწადები: ერთი წუთი.

— აბა ეხლა-ღა? ჰკითხავს იუნგფრაუ.

— ეხლა კი ვხედავ. იქ, ქვეყეთ ისევ ისაა: აჭრელებული დანამცეცებული. მოჩანან წყალნი ლურჯად, ტყეები შავად. თაგვისფრად უშველებელი გროვა ქვისა. მათს ახლო-მახლო ჰფუსფუსებენ ჭიაჭუანი, აი, ხომ იცი, ორფეხნი, რომელთაც ჯერ აქამომდე ჩვენამდე ვერ ამოეღწევიან და მწიკვლი არ მოუცხიათ არც შენთვის და არც ჩემთვისა.

— ადამიანებს ამბობ?

— პო, ადამიანებს.

გადის კვლავ ათასობით წელიწადები: ერთი წუთი.

— აბა ეხლა? ჰკითხავს იუნგფრაუ.

თითქოს ჭია-ჭუა შეცოტავებულა. ცოტანიღა სჩანან, — ჰგრგვინავს ფინსტერნაარგორნი: იქ, ძირს ნათელია, თვალი ეხლა კარგად სჭრის უფრო. ყვალნი დაპატარავებულან, ტყენი გათხელებულან.

გადის კვლავ ახალი ათასი წელი: ერთი წუთი.

— ეხლა რაღას პხედავ? ეუბნება იუნგფრაუ.

— კიდევ ის ბებერია! ვიფიქრე მე: რას გადამჭიდებია? გულში ბამიარო, — ვერასა პხედავს, ბრმაა, უსათუოდ გზა არევია და ჩემს ფეხის ხმას მოსდევს, რომ ჩემთან ერთად ადამიანის სადგურს სადმე მიაღწიოს. დიაღ, სწორედ ეგრე უნდა იყოს-მეთქი!

მაგრამ რაღაც უცნაურმა შიშმა ცოტ-ცოტად ამიტანა და დაინახა ჩემი ფიქრები: ეხლა ისე მეჩვენა, ვითომც ბებერი მე კი არ მომდევს, არამედ მე ოვითონ იმას მივყევარ, ხან აქედ მიმატრიალებს, ხან იქით და ძალაუნებურად თავის ნებაზედ მატარებს.

მაინც კიდევ გული არ გაეტეხა და ჩემს გზას გავუდექ... ჩემ წინ, აიქ შორს, გზაზედ ეს რა გამოჩნდა შავად? თანდათან დიდდება და დიდდება — რაღაცაა, ორმოსა ჰგავს...

„სანარა, სანარე!“ — გამოელვა თავში ამ ფიქრმა: „აი სად მივყევარ თურმე ბებერს!“

უცბად მოეტრიალდი და გამოვწიე უკან. ბებერი ისევ თვალ წინ ამეტუზა. ეხლა თვალი აეხილა! დამიწყო ცქერა თავისის დიდრონის, ბოროტის და უბედურების მომასწავებელის თვალებითა... სისხლთა მსმელის სვავის თვალები იყო სწორედ. ახლო მიეედი, კვლავ დავაკვირდი იმის პირი-სახეს, იმის თვალებს... ხელახლად იგივ უსინათლო ლიბრი, იგივ დამჭკნარი და მკვდარი სახე დავინახე.

— „ეპა! ვიფიქრე მე: ეგ ბებერი ჩემი ნარაა, სვე-ბედია-მეთქი; იგი ნერა, იგი სვე-ბედი, რომელსაც ადამიანი ვერსად ვერ წაუვა ხოლმე“.

— „ვერსად წაუვა, ვერა, ვერა“.. — ეპ, რა სულელობაა!.. რატომ ვერა? ცდაა საჭირო, ცდა!...“

მაშინვე გადავუხვიე გზას, სხვა მხარეზედ წავედი.

მივდივარ, რაც შემიძლიან, ჩქარა... მაგრამ იგივ ქურდული ხმა ფეხისა არ მეშვება... მომდევს ზურგ უკან უფრო ახლოსა და ახლოს. წინ იგივ შავი თხრილია...

ხელ-ახლად გადავუხვიე გზას, სხვა მხარეს ვეცი. მაინც კიდევ იგი ფეხის ხმაა უკანით და წინ იგივ საშინელი თხრილია.

ხან იქით ვეცი, ხან აქედ, გავრბოდი და გამოვრბოდი, როგორც გამრფთხალი კურდღელი... მაგრამ მაინც კიდევ იგივ ფეხის ხმაა, უკან, იგივ ორმოა წინ.

— „მაშ კარგი! ვიფიქრე მე: მოდი ჩავჯდები. ენახოთ, რას იზამს ბებერი?“ მაშინვე ჩავჯექ იქავ დედა-მიწაზედ.

ბებერი უკანიდამ თავს ჩამომადგა, სულ ორი ფუნის გადადგმა არ იქნებოდა, ისე ახლო, ხმა, კრინტი მისი არ ისმის, მაგრამ მესმის, ვგრძნობ, რომ ჩემს ახლოა.

უეცრად დავინახე: ის თხრილი, რომელიც შავად მოჩანდა ორს, ჩემკენ მოდის, ჩემკენ მოცურავს!

— აპა, ღმერთო ჩემო!... მივიხედე უკან... ბებერი პირ-და-პირ მე ჩამომშტერებია და უკბილო პირი დაპგრეხია დაცინების ღიმისაგან...

ვერ ჩამიხვალ, ვერა!

[თებერვალი, 1878].

• • •

სიკვდილ-სიცოცხლის ამ მარადიულ ფილოსოფიურ თემას ეკუთვნის აგრეთვე ი. ტურგენევის „ლექსნი პროზითას“ კიდევ ერთი მინიატურა—„ძაღლი“, რომელიც ილიას უთარგმნია. აქ განსაკუთრებული ძალით მეღავნდება ტურგენევისეული დამოკიდებულება სიცოცხლისადმი, ერთნაირი თანალმობა ყოველი ცოცხალი სულდგმულისადმი:

ძაღლი

ჩვენ ორნი ვართ ოთახში: ჩემი ძაღლი და მე... გარედ საშინელი ქარი ჰქრის და ჰლმუის.

ძაღლი წინ მიზის და თვალებში შემომცქერის.

მეც თვალებში შევცქერი.

თითქო რაღაცის თქმა უნდაო... იგი მუნჯია, პირუტყვია, თვითონაც არა იცის — რა თავის თავისა, მაგრამ მე კი ვიცი, მე ვგრძნობ...

მე მესმის, რომ ამ წუთს იმასაც და მეც ერთი და იგივე გრძნობა გვიღვიძს, რომ ჩვენს შორის არაფერი განსხვავებაა... ჩვენ ერთნი ვართ, თვითეულს ჩვენგანს ათობობ და ანათებს ერთი და იგივე ცეცხლი.

სიკვდილი წამოგვიქროლებს, მოგვისობს თავის ციკუნა და განიერს ფრთასა...

და მშვიდობით კიდევ!...

ვინ გაარჩევს მერე: თვითეულს ჩვენგანში რა გვარი ცეცხლი ენთო სანელდობრ.

არა! აქ პირუტყვი და ადამიანი კი არ შეპყურებენ ერთმანეთს თვალებში... ორი წყვილი ერთნაირი თვალი ერთმანეთს შესცქერიან.

ეგ ორი წყვილი თვალი პირუტყვისა და ადამიანისა — კრძალვით აწვდიან ერთმანეთს ერთსა და იმავე სიცოცხლესა.

]თებერვალი, 1878[

• • •

თუ აქამდე ჩამოთვლილი მინიატიურები განყენებულ ფილოსოფიურ თემაზეა აგებული, „მთხოვარა“ სწორედ ტურგენევისეული ჰუმანიზმის, მისი ცხოველმყოფელი თბილი სიტყვის, გაჭირვებული მოძმისადმი — ადამიანისადმი თანაგრძნობის მკაფიო გამოსატულებაა. ჩვენ კარ გვიკვირს, რომ სწორედ ეს მინიატიურა აირჩია სათარგმნელად ილია ჭავჭავაძემ: „განდეგილის“ ავტორისთვის არც „მუსაიფი“, „ბებერი დედაკაცი“ და „ძაღლი“ იყო უცხო და არც „მთხოვარა“, რადგან მასვე ეკუთვნოდა „გლახის ნაამბობი“, „მუშა“, „აჩრდილი“ და სხვ., რომლებშიც ჯერ კიდევ ისევ სრულიად ახალგაზრდა მწერალი ხელს უწვდიდა „ტვირთმძიმეთ“, „ქვებზედ მიგდებულთა“ და მათს „შრომის სუფევაზე“ ოცნებობდა „კაცთმოყვარების სახიერებით“. აი, სწორედ „კაცთმოყვარების სახიერება“ გასდევს წითელ ზოლად ილიას მიერ თარგმნილ ი. ტურგენევის „მთხოვარასაც“; როგორ გვაგონებს ტურგენევისეული მთხოვარა ილიას მიერ თითქმის 20 წლით ადრე დახატულ „ბოზურის კარებთან მიწოლილ“ გაყვითლებულ წყალმანკიანივით სახეშეუპებულ, ჭუჭყისაგან თმა-წვერ გასქელებულ და ფეხებდახეთქილ ჩირქიან გლახას, რომელსაც ისევე „ეჭირებოდა გულმტკივნეული ქცევა და თბილი სიტყვა“, როგორც ტურგენევისეულ მთხოვარას:

მთხოვარა

მე ქუჩებში დავდიოდი. ჯანმიღებულმა მოხუცმა მთხოვარამ შემაყენა.

ჩაწითლებული თვალთა ბუდენი, სველი ნირპლ-მორეული თვალები, გალურჯებული ტუჩები, აბურძგნული თმები („ივერიის“ პირველ პუბლიკაციაში „თმების“ მაგივრად „ძოძები“ წერია, რაც უფრო ესადაგება ორიგინალს, გ. შ.), ჩირქიანი წყლულები... ოპ, რა საშინლად. გამოუწრავს სიღარიბეს ეს საცოდავი ადამიანი!

გამომიწოდა აბურცებული, დასიებული, ჭუჭყიანი ხელი. შემომკვნესა, ძროხასავით შემომბღავლა.

მე მაშინვე ჯიბეს ვიკარ ხელი.. ჯიბე-უბეები სულ გადმოვბრუნე და ღვთისაგან განაწყენი ვერა ვიპოვე რა... არც ქისა, არც საათი, ხელთ-სახოციც კი არ გამომყოლოდა შინიდამ.

მთხოვარა მიცდიდა. გამოწვდილი ხელი უკანკალებდა, უთრთოდა.

მე დაბნეულმა, სირცხვილეულმა ჩამოვართვი მთრთოლავრე ჭუჭყიანი ხელი, მაგრა მოვუჭირე და ვუთხარი:

— ნუ მიწყენ, ძმაო, არაფერი არ მაქვს-რა, ძმაო!

მთხოვარმა გამისწორა თავისი ჩაწითლებული თვალები. მისთა ჩალურჯებულთა ტუჩთა შემომცინეს გულის-ტკენით, მაგრა მოკუმშა თავის ხელში ჩემი გაცივებული თითები.

— რა ვუყოთ, ძმაო! — წაიწმუკუნა მთხოვარამ: მაგისთვისაც მადლობელი ვარ, ეგეც გაკითხვაა, მოწყალებაა, ძმაო!

მე შევიგენ, მე ვიგრძენ, რომ მაქნისი ხარ, არც შენი ნაშრომი ნაჯაფეია... შენ ჰბილწავ ჩვენს სადგურსა — შენ ჩვენი არა იცი რა, ჩვენი არა გაგეგება-რა... შენ ჩვენი მტერი ხარ!

რა ენას მაშინ იმ კაცმა? უნდა განაგრძოს თავისი შრომა, არამც და არამც არ იწდომოს თავის მართველა და არც მოელოდებოდეს უფრო სამართლიანს გასჯასა.

ერთს დროს მსჯნელნი და მოუველნი სწყეულიდნენ მოგზაურსა, რომელმაც კარტოფილი პირველად მოუტანა, რომ თუ არ პურით, იმით მაინც იკვებოს თავი ღარიბმა. განვდილ თან მიმართ ხელიდამ გააყრევინეს იგი ძვირფასი საჩუქარი, გადაპარეს ლაფში, ფეხით დაუწყეს სრესა.

ეხლა იგინი იმით იკვებებიან, — და, არც კი იციან სახელი თავისის კეთილ მყოფელისა.

ნუ იციან! რად უნდოდათ იმისი სახელი? იგი უსახელოდაც შიმშილისაგან იხსნის ხალხსა.

ჩვენ მარტო ის ვეცადოთ, რომ ჩვენი მოტანილი მართლა — და სასარგებლო საზრდო იყოს.

მწარეა უმართლო მდურვა იმათგან, ვინც გიყვარან მაგრამ შესაძლოა კაცმა ესეც აიტანოს...

„მცემე, ოღონდ კი მომისმინეო“ — ეუბნებოდა ათინელი მხედარმთავარი სპარტანელსა.

(იგულისხმება მთარული თქმა ათენელი მხედარმთავრის თემისტოკლესი სპარტანელთა წინაშძღოლის ევრიბიადისადმი სპარსელების წინააღმდეგ ომის დროს საზღვაო ბრძოლის გამოყენების თაობაზე. ევრიბიადის წინააღმდეგობის მიუხედავად, თემისტოკლეს აზრმა გაიმარჯვა და სალამინის ბრძოლაში (480 წ. ძვ. წ.). ბერძენთა ფლოტმა დაამარცხა, სპარსელები გ. შ.).

„მცემე, ოღონდ კი შენ იყავ ჯანმრთელ და მაძღარ!“ — უნდა ვსთქვათ ხოლმე ჩვენცა.

[თებერვალი, 1878].

• • •

ილია ჭავჭავაძეს უთარგმნია ი. ტურგენევის „სულელი“, რომელიც ამ ციკლის ერთ-ერთი საინტერესო მინიატიურათაგანია.

სულელი

იაფ და არა იყო რა, იყო ერთი სულელი.

დიდხანს მიდიოდა იმისი ცხოვრება ქვეფიფით და შვებითა. ბოლოს ოცდ-ოცად მოაწია იმის ყურამდინ, რომ ყველანი ქარაფშუტას ეძახიან.

ეწყინა სულელს და დაიწყო ზრუნვა მასზედ, რომ როგორმე კრიჭა აუკრას ამ უსიამოვნო ხმებსა.

უცბად ამისი ბნელი ტვინი გაანათა ერთმა აზრმა. ერთს წუთს ადარ დაყოვნებულა და ის აზრი განახორციელა.

ქუჩაში შესულა ერთი თავისი ნაცნობი, ამან უქო ერთი გამოჩენილი მხატვარი...

— რას ბრძანებთ!. შეპყვარა სულელმა: ამ მხატვარს დიდი ხანია აბრე გაუტყდა, დაძველდა... ნუ თუ არ იცოდით? შე ეგ თქვენან არ მეგონა... თქვენ, ერიპა! საიდამ სად ჩამორჩენილხართ ქვეყნიერობას!...

ნაცნობი შეშინდა და მაშინვე თანახმა გაუხდა სულელსა,

— რა მშვენიერი წიგნი წავიკითხე დღეს! — ეუბნება მასვე სულელს მეორე ნაცნობი.

— რას ბრძანებთ! — შეპყვარა სულელმა: როგორ არ გრცხვენიან? რისი მაქნისია ის წიგნი!.. რამდენი ხანია, რაც ზედ არც კი აფურთხებენ... ნუ თუ ეგ არ იცოდით? ერიპა! საიდამ სად ჩამორჩენილხართ ქვეყნიერობას!

ეს ნაცნობიც შეშინდა და თანახმა გაუხდა სულელსა. — რა კაი კაცია ჩემი მეგობარი №. №! — ეუბნებოდა სულელს მესამე ნაცნობი: აი მართლა. და კეთილშობილი კაცი ის არის.

— რას ბრძანებთ! — შეპყვარა სულელმა: №. №. ხომ გაქნილ, უნამუსო კაცად არის ყველგან და ყველასაგან ცნობილი. მთელი თავისი გვარეულობა გაყვლიფა. ვინ არ იცის ეს ამბავი? ერიპა! საიდამ სად ჩამორჩენილხართ ქვეყნიერობას!

მესამე ნაცნობიც შეშინდა, თანახმა გაუხდა სულელსა და მეგობარს გადაუდგა. ვინც და რაც კი



მეც განკითხულ ვიქმენ, მეც მოწყალება მივიღე ჩემის ძმისაგან.

[თებერვალი, 1878]

• • •

ამ ციკლის ერთ-ერთი მინიატიურის სათაურად ი. ტურგენევს გამოუყენებია ა. პუშკინის სტრიქონები: „გაიგონებ მსჯავრსა სულელისასა...“

იგულისხმება შემდეგი ადგილი ა. პუშკინის ლექსისა „პოეტს“ (1830წ.): «Услышишь суд глупца и смех толпы холодной, но ты останься тверд, спокоен и угрюм».

როგორც ტურგენევისმცოდნენი მიუთითებენ, აღნიშნული მინიატიურა გულნატკენ მწერალს დაწერინა რუსეთის დემოკრატიული ახალგაზრდობის წრეებში თავისი უკანასკნელი რომანის „ყამირის“ (1877 წ.) მკაცრად გაკრიტიკებამ.

„გაიგონებ მსჯავრსა სულელისასა...“

(პუშკინი).

„**გ**აიგონებ მსჯავრსა სულელისასა...“ შენ ყოველთვის მართალს აშობდი ხოლმე, ჩვენო დიდებულო მწერალო! ამ ხანდაც მართალია ეს შენი ნათქვამი: „მსჯავრი სულელთა და კირთად აგდება ხროვისაგან“... ვის არ გამოუდია ერთიცა და მეორეც!

ყოველივე ესე შესაძლოა და საჭიროცა კაცმა აიტანოს, და ვისაც ძალღონე შესწევს, ილიზღოს, კიდეც, ყური არ ათხოვოს.

მაგრამ არის ისარი, რომელიც შიგ გულში მოხვდება კაცსა და ყველა კვეთებაზედ მწვავია... „კაცმ

ᲫᲛᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲝᲑᲘᲡ 200 ᲬᲚᲘᲡ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲖᲔᲘᲛᲝᲑᲡ

ᲓᲐᲐᲚᲬᲝᲤᲔᲑᲘᲗ ორი მილიონი კაცი სტუმრობს ყოველწლიურად მოსკოვის ოლქის ქალაქ ზაგორსკის სახელმწიფო ისტორიულ-მხატვრულ მუზეუმ-ნაკრძალში. ამ მუზეუმის ექსპონატებს — რუსული ხალხური რეწვის საუკეთესო ნიმუშებს გააცნობს თბილისელებს გამოფენა „რუსეთის სფსრ რესპუბლიკის ხალხური ხელოვნება“. მხატვრის სახლში მოწყობილ ექსპოზიციაში წარმოდგენილია შვიდასზე მეტი ნაკეთობა — რუსეთის ფედერაციის ყველა ოლქის ხალხური მხატვრული შემოქმედების ნიმუში. აქ არის ორენბურგული თაფლაფრები და ჩუკოტკელ ოსტატთა ნახელავი ძვალზე კვეთის ნიმუშები, ზაგორსკის მატრიოშკები და როსტოვური მოხატული სინები, პალეხური ლაქის მინიატურები და კასლინური თუჯის სხმულები. ყველა ამ ნაკეთობამ კარგა ხანია სამართლიანად დაიმსახურა მსოფლიო აღიარება.

მხატვრული რეწვის ნიმუშების ექსპოზიცია ასახავს ჩვენს ქვეყანაში ხალხური შემოქმედებისადმი სათუთ, მზრუნველ დამოკიდებულებასაც. შემთხვევითი არ არის, რომ თავად ზაგორსკის მუზეუმი შეიქმნა ქვეყნისათვის ძნელ, 1920 წელს ლენინის ხელმოწერილი დეკრეტით. ახლა აქ ასი ათასზე მეტი უნიკალური ექსპონატია.

— ასახავს რა უმთავრესად საბჭოთა პერიოდს, — თქვა საბჭოთა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის განყოფილების გამგემ ლ. ე. კალმიკოვამ, — ექსპოზიცია ამავე დროს წარმოადგენს ტრადიციებს, რომლებიც სათაგეს ხალხური შემოქმედების ისტორიაში იღებს.

● ●

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ცნობილი რუსული მუზეუმის მუდმივი ექსპოზიციის ასი სურათი პირველად არის წარმოდგენილი თბილისში. საქართველოს სახელმწიფო სამხატვრო გალერეაში გაიხსნა რეტროსპექტული გამოფენა „რუსული და საბჭოური ფერწერის წარმომადგენლები“. ეს არის უაღრესად საინტერესო ნაამბობი რუსეთის ფერწერული ხელოვნების სამი საუკუნის შესახებ.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების სექტორის გამგე ო. ტ. ივანოვი, ამხანაგები გ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ჯანბერიძე, რუსეთისა და საქართველოს სამინისტროებისა და შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები.

რუსეთის მხატვართა კავშირისაგან საქართველოს სამხატვრო გალერეის საჩუქრად გადაეცა მოსკოველი გრაფიკოსის ა. სუვოროვის ორი ოფორტი — კუტუზოვისა და ბაგრატიონის პორტრეტები.

● ●

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის ვრცელი დარბაზი წიგნის ქალაქად გადაიქცა. 30 სექტემბერს აქ გაიხსნა გამოფენა. მასზე წარმოდგენილია რუსეთის სფსრ რესპუბლიკის პრაქტიკულად ყველა გამომცემლობა, რომლებიც ყოველწლიურად უშვებენ შვიდი ათასზე მეტი დასახელების წიგნს, ბროშურასა და ალბომს 620 მილიონი ტირაჟით. ეს არის ლიტერატურა რუსულ და რუსეთის სფსრ რესპუბლიკის ხალხების 49 ენაზე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მწერალთა კავშირთან არსებულ მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარ სარედაქციო კოლეგიაში გაიმართა შეხვედრა, რომელზეც მიმდინარეობდა სკა-ბაასი საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზების, მოძმე ხალხთა ენებზე მხატვრულ ნაწარმოებთა თარგმანის ხარისხის შესახებ. აქ მოვიდნენ ლიტერატორები — საქართველოში რუსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილენი, მათი ქართველი კოლეგები, ჟურნალ „ცისკრის“ თანამშრომლები.

ჩვენი რესპუბლიკის ლიტერატორთა ამჭარის წარმომადგენლობდნენ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ჯ. ჩარკვიანი, ჟურნალების „ლიტერატურნაია გრუზიას“ და „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი თ. ბუაჩიძე და ჯ. ღვინჯილია, მწერლები გ. გეგეჭკორი, ა. სალუქვაძე, გ. ნიშნიანიძე, უ. რიჟინაშვილი და სხვები. მხატვრული თარგმანის პრობლემებზე მათთან ერთად ბჭობდნენ მოსკოვის მწერალთა ორგანიზაციის მდივანი ვ. კოსტროვი, ჩუვაშეთის ასსრ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ა. ემელიანოვი, პოეტები მ. შივჩენკო და მ. ქვლივიძე, სხვა სტუმრები.

ლექსებისა და პროზის მაღალმხატვრულ თარგმანს ჩვენს რესპუბლიკებში ოდნდელი ტრადიციები აქვს, აღინიშნა შეხვედრაზე. უკანასკნელი წლების მანძილზე რუსმა და ქართველმა მწერლებმა ბევრი საინტერესო, ძარღვიანი, თავანკარა ენით დაწერილი ნაწარმოები შექმნეს. შეხვედრის მონაწილეებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ შეუნარჩუნონ რაც შეიძლება სრულად თარგმანს დიდნის ღირსებები, რითაც თავიანთ წვლილს შეატანენ ორი ხალხის კულტურათა შემდგომ ურთიერთგამდიდრებას.

● ●

ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ლიტერატურის თბილისური მისამართები... ისინი ოქროს ასოებით ჩაიწერა ორი ხალხის კულტურათა ისტორიაში, იმ მწერლებისა და პოეტების ბედში, რომლებისთვისაც კავკასია, როგორც სერგეი ესენინმა თქვა, „რუსული პარნასი“ გახდა. თბილისის მუზეამ გააცისკროვნა ამერკავკასიის მრავალი ლიტერატორის შემოქმედებაც.

ლიტერატურული თბილისის ისტორია უკვდავყოფილია ქუჩების სახელწოდებებით, სადაც ცხოვრობდნენ და ქმნიდნენ საქართველოს, რუსეთის, აფხაზეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის დიდი შვილები, ძეგლებით, რომლებიც აღმართულია ქალაქის მოედნებზე და სკვერებში.

1 ოქტომბერს საქართველოს სს რესპუბლიკაში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებმა მაღლიერი ხსოვნის ნიშნად პატივი მიაგეს შესანიშნავ შემოქმედთ. მათ ყვავილებით შეამკეს შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე გრიბოედოვის, ალექსანდრე პუშკინის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის, მირზა ფათალი ახუნდოვის, ვაჟა-ფშაველას, ოვანეს თუმანიანის, მაქსიმ გორკის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, დმიტრი გულიას, გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლები, მონუმენტი „ცოდნის ზარი“.

ყვავილებით შემკობის ცერემონიებში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია და რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრი ი. ს. მელენტიევი.

● ●

ᲡᲝᲩᲣᲛᲘ

ᲛᲬᲘᲜ შუქით გაისკროვნებულა, ყვავილებით დამშვენებულა შემოდგომაზე აფხაზეთი. ამ მზეს და ყვავილებს გულუხვად უნაწილებს ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი საქართველოში რუსეთის სფს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებს. 1 ოქტომბერს სოხუმი გულითადად მიესალმა რუსეთის წარმოგზავნილებს. აეროპორტში მათ დახვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა, ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

ზეიმი დაიწყო სვერდლოვსკის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტით ბიჭვინთის საკურორტო დარბაზში. სოლოს ასრულებდა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი პიანისტი ა. სევიდოვი. სოხუმელები აღფრთოვანებით შეხვდნენ რუსეთის სფსრ სახალხო არტისტის, კომპოზიტორ ედუარდ კოლმანოვსკის საავტორო კონცერტს, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ბორის შტოკოლოვის გამოსვლას.

სოხუმელებს ელით შეხვედრა რუსეთის სფსრ სახალხო არტისტთან ლ. ლეშჩენკოსთან. ეს პოპულარული მომღერალი განსაკუთრებით უყვართ აფხაზეთში — იგი ერთხანს გამოდიოდა ანსამბლ „აფსნი-67“-თან ერთად, ასრულებდა აფხაზურ სიმღერებს, რომლებიც შემდეგ ცენტრალური ტელევიზიითაც აჟღერდა.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ სფს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ჯგუფი ჩამოვიდა აჭარაში. აეროპორტში მათ გულითადად მიესალმნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

საღამოს ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში ზეიმით გაიხსნა რუსეთის სფს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები.

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ

ᲛᲔᲖᲒᲝᲑᲠᲣᲚᲐᲓ, გულთბილი სიტყვებით მიესალმა სამხრეთ ოსეთი საქართველოში რუსეთის სფს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების წარმომადგენლებს. რამდენიმე დღის მანძილზე ავტონომიური ოლქის მშრომელები გაეცნობიან რუსეთის ცნობილი შემოქმედებითი კოლექტივებისა და შემსრულებლების ხელოვნებას. მათი კონცერტები გაიმართება სასცენო მოედნებზე, მინდვრებსა და ქარხნების საამქროებში.

სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, ავტონომიური ოლქის სხვა ხელმძღვანელები.

ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘ

ᲤᲔᲠᲐᲯ-ᲤᲔᲠᲐᲯᲘ ყვავილებით, გულითადი სიტყვებით შეეგება საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი საქართველოში რუსეთის სფს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: რსფსრ და საქართველოს კულტურის მოღვაწენი ვ. მაიაკოვსკის ძეგლთან; რსფსრ კულტურის მოღვაწეებმა ყვავილებით შეამკეს დავით გურამიშვილის ძეგლი.

Ფ. ᲙᲐᲠᲘᲛᲡᲙᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲐ ᲢᲔᲚᲔᲩᲙᲘᲜᲐ,
რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი

ᲐᲡᲔ სახელდახელო საუბარში შეიძლება გამომრჩეს კიდეც ზოგი რამ, რაც კარგა ხანია მინდა ქართველ ხალხს გავუმხილო, შეიძლება ერთ დღეს დავწერო კიდეც ყოველივე, მაგრამ ამჯერად სამდლოდ ვამბობ აქაური ხალხისადმი, რომელმაც გულთბილად მიიღო ჩემი როლი ელდარ შენგელაიას ფილმში „არაჩვეულებრივი გამოფენა“. სურათის დამდგმელ ჯგუფს სხვადასხვა ადგილას გვქონდა შეხვედრები მაყურებლებთან და მე ვგრძნობდი მათს სიმპათიებს. თუმცა ეს რამდენიმე წლის წინათ იყო, და მას შემდეგ ოცნებად მაქვს გადაქცეული კვლავ მომიწიოს რომელიმე ქართულ ფილმში მონაწილეობა. ბედნიერი ვიქნები, თუ ეს ოცნება ამოხდება.

ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲔᲛᲔᲚᲘᲐᲜᲝᲕᲘ,
ჩუვაშეთის ასსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე

ᲩᲣᲕᲐᲨᲘ ხალხი კარგად იცნობს მდიდარ ქართულ მწერლობას. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა ჩუვაშეთის სახალხო პოეტმა ჰედერ ხუზანგაიმ, რომელმაც ქართულიდან ჩუვაშურ ენაზე თარგმნა ორმოცზე მეტი ქართველი მწერლის ნაწარმოებები, სწორედ მან მიაწოდა ჩუვაშ ხალხს ომისშემდგომ წლების შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო თარგმანიც.

მაგრამ ქართველი და ჩუვაში ხალხების მეგობრობას ფესვები წარსულში აქვს გადგმული. მარტო იმის გახსენება რად ღირს, რომ ცნობილი ჩუვაში არქიტექტორი პეტრე ეგოროვი, რომელიც XVIII საუკუნეში მოღვაწეობდა და რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო პეტერბურგის ულამაზესი არქიტექტურის შექმნას, ქართველების, დაღინესების აღზრდილი იყო.

ამჟამად ჩუვაშურ ენაზე ორი ლიტერატურული ალმანახი გამოდის. ჩუვაშ მწერალთა თარგმანების მეოხებით მათში დროდადრო ვეფხობით თანამედროვე ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს. მე მოთხრობების ათი კრებულის ავტორი ვარ, რომელთაგან უმეტესობა თარგმნილია რუსულ ენაზე. მოხარული ვიქნები, თუ ჩემს ნაწარმოებებს ქართველები მშობლიურ ენაზეც გაეცნობიან.

იმედი მაქვს, რომ ეს დღეები კიდევ უფრო დაგვაახლოებს, ხელს შეგვიწყობს მომავალ ლიტერატურულ ურთიერთობათა გაღრმავებასა და განვითარებაში.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ, ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲝᲑᲐ, ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲖᲘᲜᲝᲑᲘ ᲕᲘᲡᲝᲙᲝᲕᲡᲙᲘ:

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲝᲚᲝ�გᲘ

1941 ᲬᲚᲘᲡ 14 ოქტომბერს ტაგანროგიდან გასული ბოლო ეშელონით დასრულდა ქარხნების, ფასეულობებისა და, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი სიმდიდრის — ბავშვების ევაკუაცია. 15 ოქტომბერს ქალაქში ფაშისტი ოკუპანტები შევიდნენ. ჩვენს ეშელონს თავს დასტრიალებდნენ „შესერშმიტები“, ბავშვები ტიროდნენ. მოხუცი ქართველი, მთელი შემადგენლობის ერთადერთი გამცილებელი, ღიმილით ამშვიდებდა პატარებს: „ნუ სტირი, ბიჭუნა, შენ ვაჟკაცი ხარ, მონადირე, ჩიტების არ უნდა გეშინოდეს. ხომ ხედავ ფრთებზე ჯვრები ახატიათ. ვინც თავად დაისვა ჯვარი, დიდხანს ვეღარ იოცხლებს“. ასე გავიგონე პირველად ქართული მეტყველება, და თუმცა მაშინ სიტყვების აზრი ვერ გავიგე, გულმა მიგრძნო, რომ ეს ენა სიმშვიდისა და სიხარულის მომტანია. საქართველომ ყველანი მიგვიღო ისე, რომ ეროვნება არ უკითხია, საკუთარ, ღვიძლ შვილებად მიგვიღო. ჭეშმარიტებას ღაღადებს ხალხური სიბრძნე: ის სისხლი კი არ გვაერთიანებს, რომელიც ჩქეფს ძარღვებში, არამედ ის, რომელიც ძარღვებიდან იღვრებოა.

ასე გავხდი ცხრა წლის ბიჭი თბილისელი. ჭალარა სკოლის დარაჯი მასწავლიდა ქართულ ენას. იგი მეუბნებოდა: „ზინრამ, გენაცვალე, თუ კი რუსული ენა ისწავლე, ქართულს როგორ ვერ ისწავლი“. სკოლაში გვასწავლიდნენ მეცნიერებას, სკოლის ეზოში იგივე პაპა შალვა, რომელიც მჭადს გვაჭმევდა ხოლმე, ხალხურ სიბრძნეს გვაზიარებდა. გვეუბნებოდა: „ბავშვებო, მომისმინეთ და დაიხსომეთ. აი ჩემი ხელი. აბა ვინ მეტყვის რატომ მაქვს ხუთი თითი? იმიტომ, რომ ეს ხელი მუდამ ხუთის მაგვარად მუშაობდა. აბა ახლა ვინ მეტყვის: თითებს რომ გაშლი, ცარიელი ადგილი რად რჩება? არ იცით, მე გეტყვით — კაცი ხელგაშლილი უნდა იყოს. მუდამ გულუხვნი იყავით. ყველაფერი გაეცით. რასაც გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია.

ახლა კი აიღეთ სასმისები, სადღეგრძელო უნდა გითხრათ. არა, ღვინო როგორ შეიძლება! ბავშვებმა მხოლოდ რძე უნდა სვან. ხომ ხედავთ, მეც რძეს ვსვამ. მაგრამ სადღეგრძელო კი ახლა უნდა გითხრათ, რადგან თქვენ უკვე ვაჟკაცები ხართ. შევსვათ ფიქრების სადღეგრძელო. თქვენ „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 21.30 — მუზეუმებსა და საგამოფენო დარბაზებში. „ერმიტაჟი“. მე-17 ფილმი — „მე-19 საუკუნის ფრანგული ფერწერა“. 22.35 — მხატვრული ფილმი „მამაკაცური ლაპარაკი“.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20—რსფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები საქართველოში — საინფორმაციო გამოშვება. 9.50—სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 10.00—„მოამბე“. 10.30—შვეიცარიული რუსული ენა. 11.00 — „სამეურნეო შექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“. 11.45 — „საკვირაო გამოფენა“. 11.50 — საბავშვო იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში“ № 35. 12.00 „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.). 12.45 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი (სტუდიაში დოცენტი თ. კვაჭანტირაძე). 13.15 — კონცერტი (ეძღვნება მასწავლებლის დღეს). 13.45 — ახალგაზრდობისათვის— „რაჭა—ჩემი სიყვარული“. 14.25 — „საკვირაო გამოფენა“. 14.30 — „ამბავი ნამდვილი ადამიანებისა“, — მხატვრული ფილმი „სხვისი წერილები“. 16.10 —„საკვირაო გამოფენა“. 16.15— „ვესტნიკი“. 16.45 — კონცერტი „მღერიან ახალგაზრდები“. 17.15 — „საოჯახო პედსაბჭო“ — „ვისი გორისა ხარ“. 17.45 — „დღეს მასწავლებლის დღეა“ (მ.). 18.15 „ჩვენი ლაშქარი“ — პაატა კერვალაშვილი. 18.35 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მამა“. პრემიერა. 19.00 „საერთაშორისო პანორამა“ (მ.). 19.45 — „ზღაპრის გუდა“. 20.00 — „მოამბე“. 20.30 — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისთვის—„საუბარი თეატრის შესახებ“. სსრ კავშირის სახალხო არტისტები ელენე გოგოლევა და ვერიკო ანჯაფარიძე. 21.55—ახალი ამბები. 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — რსფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები საქართველოში — საინფორმაციო გამოშვება. 23.05 — რსფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები საქართველოში — კონცერტი. 24.00 — საფეხბურთო მიმოხილვა.

ᲙᲝᲛ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲡᲢᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲭᲘᲐᲣᲠᲔᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲔᲝ ᲑᲐᲫᲠᲐᲫᲔᲡ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲔᲜᲘ᭢ᲐᲗ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲙᲘᲜᲝᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲙᲐᲣᲜᲐᲡᲨᲘ ახლახან დაჯილდოებულ სპორტული ფილმების მეცხრე საკავშირო ფესტივალზე დოკუმენტური ფილმების გასინჯვისას განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ქართველი კინოდოკუმენტალისტების ნამუშევრებმა. აღსანიშნავია, რომ მათგან ორმა ფილმმა — ახალგაზრდა რეჟისორის მიხეილ ჭიაურელის „დავით ყიფიანმა“ და ლეო ბაქრაძის „ადამიანი ოჩამჩირიდან“ მაღალი შეფასება მიიღო. ორივე ფილმის რეჟისორები ფესტივალის ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ, მ. ჭიაურელმა კი ვერცხლის მედალთან ერთად ფილმის მუსიკალური გაფორმებისათვის დაწესებული სპეციალური პრიზი — პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო. გარდა ამ ფილმებისა, ფესტივალზე საქართველოს კინოდოკუმენტალისტებმა საკონკურსოდ წარადგინეს „დიალოგი“ (რეჟისორი ო. გურგენიძე) და „40 ძნელი წუთი“ (რეჟისორი ჯ. ებრალიძე). კონკურსგარეშე ნაჩვენები იყო აგრეთვე რეჟისორ თ. ჩიხლაძის ორი ფილმი — „ნელი სალაძე“ და „შემოდგომის რეპორტაჟი“.

რეჟისორ მ. ჭიაურელის ნამუშევარს „დავით ყიფიანს“, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობა უკვე კარგა ხანია იცნობს, დიდი მოწონებით შეხვდნენ კაუნასის ფესტივალზე.

კინოდრამატურგი ი. პროკი გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ დაბეჭდილ რეცენზიაში აღნიშნავს: „მინდა საგანგებოდ შეეეხო ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის მ. ჭიაურელის, ჩემი აზრით, ძალზე საინტერესო ტელეფილმს „დავით ყიფიანს“. ამ შესანიშნავ ფეხბურთელზე დიდი სიყვარულით გვიამბობს რეჟისორი — მას პრაქტიკულად მთელი მასალა შეუკრებია, რომელიც წლების განმავლობაში საფეხბურთო მინდვრებზე დავით ყიფიანის გამოსვლებს ასახავს, ფილმში ჩართულია აგრეთვე 30-40-იანი წლების ფეხბურთის მატჩების ჭეშმარიტად უნიკალური კადრები. და თუმცა კინოსურათი ზედმიწევნით დოკუმენტურია, იგი გაჟღენთილია მსუბუქი იუმორით და, შემთხვევითი არ გახლდათ, რომ მისი დემონსტრაციის დროს დარბაზში სიცილიც გაისმოდა და ტაშიც. თავისი ცხოვრების ამბავს ეკრანიდან თავად ყიფიანი გვიამბობს. მისი ამხანაგების, მეგობრებისა და გულშემატკივრების კეთილი სიტყვები ორგანულად ერწყმის ფილმის საერთო ქარგას, რომელიც გამომსახველად გადაიღო ოპერატორმა ი. ვაჩნაძემ“.

მართლაც ღირსეული შეფასება დაიმსახურა მ. ჭიაურელის ფილმმაც და ლ. ბაქრაძის ნამუშევარმაც. მათგან და ჩვენი რესპუბლიკის სხვა კინოხელოვანთაგან კვლავ ველით სპორტული თემატიკის ამსახველ ახალ ფილმებს, რომლებიც-თაც არცთუ ძალიან ვართ განებივრებული.

Ჯ. ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ.

ᲤᲘᲚᲘᲡᲧᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ

ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ევროპის ქვეყნების ტურნირებში მონაწილე ფეხბურთელთა გუნდების წოლისყრა. ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალში მინსკის „დინამოს“ მეტოქე იქნება უნგრეთის „რაბა“ ეტო, თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალში დონეცკის „შახტიორი“ შეხვდება შვეიცარიის „სერვეტს“, ხოლო უეფას თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალში მოსკოვის „სპარტაკის“ თანამეწყვილეა ინგლისის „ასტონ ვილა“. პირველი მატჩები გაიმართება 19 ოქტომბერს: „შახტიორი“ და „სპარტაკი“ მეტოქეებს უმასპინძლებენ, ხოლო მინსკელები სტუმრად ითამაშებენ. განმეორებითი შეხვედრები გაიმართება 2 ნოემბერს.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲝ. კიევში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის პირველ დღეს ცნობილი გახდა ხუთი გამარჯვებულის ვინაობა. აი ისინი: ნ. ხალეულინი (სსრ კავშირი, 48 კგ), მ. გარსია (ესპანეთი, 57 კგ.), გ. ჟამსარანი (მონღოლეთი, 68 კგ.), ა. ბუზინი (სსრ კავშირი, 82 კგ.), მ. ბარანოვი (სსრ კავშირი, 100 კგ.). გუშინ გვიან ღამით ჩემპიონტი დამთავრდა და ამ დღეს კიდევ ხუთი გამარჯვებული გამოვლენდა. საქართველოს სამბისტებს ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

ᲮᲔᲚᲒᲣᲠᲗᲘ. გუშინ თბილისში დამთავრდა ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის საწყისი ეტაპი. გთავაზობთ ასპარეზობის ბოლო დღის შედეგებს: ჩელიაბინსკის „პოლიოტი“-კაუნასის „გრანიტასი“— 33:29, რიგის „ცელტნიეკსი“-ცსკა — 24:27, ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდი-თბილისის „ბურევესტნიკი“ — 23:27. კრასნოდარის ჯგუფში მიმდინარე შეჯიბრების ბოლოსწინა ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: ლვოვის ასკ-ლენინგრადის „ნევა“— 34:36, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი-მოსკოვის „კუნცევო“ — 29:26, მინსკის ასკ-კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი — 28:26.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. ისევე როგორც თბილისში, რიგაშიც დასრულდა ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის საწყისი ეტაპი. რიგის ბოლო ტურში ასეთი შედეგები აღინიშნა: კაუნასის „ჟალგირისი“-კიევის ასკ — 93:78, რიგის ვეფი-ვილნიუსის „სტატიბა“ —90:87, ლენინგრადის „სპარტაკი“-კიევის „სტროიტელი“ — 84:79.

ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

ᲜᲝᲛᲘᲒᲔᲠᲒᲔᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲗ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და ფიფას ერთ-ერთმა ვიცე-პრეზიდენტმა ჰ. ნოიბერგერმა ფიფას წარუდგინა მსოფლიო ჩემპიონატის რეორგანიზაციის პროექტი, რომლის არსი შემდეგია:

ისევე, როგორც ესპანეთში, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ნაწილში მონაწილეობას მიიღებს 24 გუნდი. ეს გუნდები დაყოფილნი იქნებიან არა 6 ჯგუფად (4-4 გუნდი თითოეულში), არამედ 4 ჯგუფად (6-6 გუნდი თითოეულში). ჯგუფებში შეჯიბრება კვლავ წრიული სისტემით გაიმართება. ორ-ორი გამარჯვებული გადის მეოთხედფინალში. მეოთხედფინალიდან მოყოლებული, ბრძოლა სათასო სისტემით წარიმართება. სულ გაიმართება 67 მატჩი, 17-ით მეტი, ვიდრე ესპანეთში.

ახალი სისტემის მთავარი იდეა ის არის, რომ ფიფას საშუალება მიეცემა მიიღოს დამატებითი თანხა (93 მილიონი შვეიცარიული ფრანკი) ამ მატჩების ტელეტრანსლაციის შედეგად. ნოიბერგერის პროექტს ფიფას კონგრესი 1983 წლის 7 დეკემბერს განიხილავს ციურიხში.

Ბ. Ს. ᲯᲝᲠᲑᲔᲜᲐᲫᲔ



გარდაიცვალა რკინიგზის ტრანსპორტის ვეტერანი მუშაკი, 1921 წლიდან სკკპ წევრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი **გალაქტიონ სიმონის ძე ჯორბენაძე.**

გ. ჯორბენაძე დაიბადა 1900 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩიბათში, გლეხის ოჯახში. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1917 წელს და საგზაო-სარემონტო რიგითი მუშიდან გახდა შორაპნის სადგურის უფროსი, სადაც 30 წლის განმავლობაში უცვლელად მუშაობდა.

სადაც უნდა ემუშავა გ. ჯორბენაძეს, ყველგან აკონდა დიდ პასუხისმგებლობას და კომუნისტურ პრინციპულობას. კოლექტივში მუდამ სარგებლობდა ნდობითა და ავტორიტეტით. კეთილსინდისიერი მუშაობისათვის იგი დაჯილდოებული იყო ლენინისა და საპატიო ნიშნის ორდენებით, მედლებითა და სიგელებით. მინიჭებული ჰქონდა საპატიო რკინიგზელის მაღალი წოდება. ითვლებოდა სარკინიგზო ტრანსპორტის დამსახურებულ მუშაკად.

გ. ჯორბენაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

რედაქტორის მოადგილე
Ბ. ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

2 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ. 9.00 — ახალი ამბები. 9.20 — ნორჩოთა შემოქმედება. 9.